მესხეთის უნივერსიტეტი

№8-9 (295) სექტემბერი-ოქტომბერი, 2025 წელი • გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან

„მეცნიერების ფესტივალი – 2025“

35 წელი განათლების, კვლევისა და რეგიონული განვითარების სამსახურში

22 ოქტომბერს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უმასპინძლა **„მეცნიერების ფესტივალი – 2025!“** იგი საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართა. ფესტივალზე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წლევანდელი გზავნილი გახლდათ – **„მეცნიერება გვაერთიანებს“,** რაც ხაზს უსვამდა მეცნიერების მნიშვნელოვან როლს ცოდნის გავრცელებისა და საზოგადოების კონსოლიდაციის პროცესში.

აღსანიშნავია, რომ ღონისძიება დაემთხვა უნივერსიტეტის ისტორიაში განსაკუთრებულ თარიღს – უმაღლესი სახელმწიფო დაწესებულების დაარსებიდან 35 წლის საიუბილეო ზეიმს. მეცნიერების ფესტივალის ფარგლებში, საზეიმოდ გაიხსნა უნივერსიტეტის 35-ე საიუბილეო სასწავლო წელი. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა **გივი მიქანაძემ** სტუდენტებს, განსაკუთრებით, პირველკურსელებს, მიულოცა სწავლის დაწყება და უნივერსიტეტის იუბილე.

გაგრძელება მე-6 გვ.

მეცნიერება – საზოგადოების გაერთიანების მთავარი ძალა!

19 სექტემბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პავლე ზაზაძის სახელობის საკონფერენციო დარბაზში ჩატარდა პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც უნივერსიტეტის 35 წლის იუბილეს მიეძღვნა. ღონისძიება, მეცნიერების ფესტივალის ფარგლებში, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართა. მისი წლევანდელი სლოგანი გახლდათ – „მეცნიერება გვაერთიანებს.“

უნივერსიტეტისათვის 35 წლის იუბილეს ფონზე გამართული კონფერენცია იყო არა მხოლოდ წარდგენა სამეცნიერო ანგარიშის, რომელსაც რეგიონში 90-იანი წლებიდან ჩაეყარა საფუძველი, არამედ სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრის გზაც. კონფერენციამ შეახსენა საზოგადოებას, რომ ცოდნა, კვლევა და განათლება სწორედ ის ღირებულებებია, რომლებიც აერთიანებს თაობებს და ქმნის ქვეყნის მომავლის საყრდენს.

გაგრძელება მე-2 გვ.

ოჯახი, რომელსაც უნივერსიტეტი ჰქვია

„როგორც ოჯახი, უნივერსიტეტიც ის სივრცეა, რომელიც ორიენტირებულია ოჯახის თითოეული წევრის წარმატებაზე.“

მოგესალმებით გაზეთის ერთგულ მკითხველს. გთავაზობთ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის ქალბატონ მაკა ბერიძის ინტერვიუს ახალი 2025-2026 სასწავლო წლის შესახებ.

– გამარჯობა, ქალბატონო მაკა. დღევანდელი ინტერვიუს დასაწყისისთვის რომ მიმართოთ პირველკურსელებს.

– მოგესალმებით, რიმა. მივესალმები გაზეთის მკითხველს. 2025-2026 სასწავლო წელს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ტრადიციულად შეხვდა თავის პირველკურსელებს. მინდა გითხრათ, რომ ძალიან ბევრმა აბიტურიენტმა აირჩია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, როგორც თავისი უნივერსიტეტი, სადაც სწავლის გაგრძელება უნდა. ეროვნული გამოცდები ეროვნული გამოცდებია და ნამდვილად მისალოცია თითოეული იმ აბიტურიენტის წარმატება, რომელმაც მოიპოვა სტუდენტის სტატუსი.

გაგრძელება მე-4 გვ.

პარტნიორობა, რომელიც განათლებას აძლიერებს

გვ.9

დიალოგი ახალგაზრდობასთან

გვ.5

პირველკურსელთა კვირეული სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად, 29 სექტემბრიდან ერთი კვირის განმავლობაში, პირველკურსელთათვის გაიმართა საორიენტაციო დღეები. კვირეულის მიზანი იყო პირველკურსელებისათვის საუნივერსიტეტო გარემოს, უნივერსიტეტის სტრუქტურისა და სასწავლო პროცესის გაცნობა.

კვირეულის ფარგლებში სტუდენტებმა მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია საუნივერსიტეტო ცხოვრების შესახებ. შეხვედრების ციკლი მოიცავდა ფაკულტეტების დეკანებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებთან, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენლებთან შეხვედრებს.

გაგრძელება მე-12 გვ.

მეცნიერება – საზოგადოების გაერთიანების მთავარი ძალა!

პირველი გვერდიდან

კონფერენციაზე სხვადასხვა სპეციალობის პროფესორ-მასწავლებლები მონაწილეობდნენ. მოხსენებებში აქცენტი გაკეთდა როგორც თანამედროვე საგანმანათლებლო გამოწვევებზე, ასევე, რეგიონული განვითარების პრობლემატიკასა და სამეცნიერო კვლევის მნიშვნელობაზე.

კონფერენციამ კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ უნივერსიტეტი მხოლოდ სასწავლო დაწესებულება კი არა, არამედ სამეცნიერო აზრისა და პროგრესული იდეების ადგილია, რომელიც რეგიონს ინტელექტუალური რესურსით ამდიდრებს. მინდა დავაფიქსირო ჩემი დიდი პატივისცემა თითოეული თქვენგანის მისამართით. – ამ სიტყვებით მიმართა სამეცნიერო კონფერენციაზე შეკრებილ აკადემიურ საზოგადოებას სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **მაკა ბერიძემ** და კონფერენციის მუშაობა გახსნილად გამოაცხადა. აღნიშნა, რომ კონფერენცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს რამდენიმე მიზეზის გამო. პირველი ის, რომ კონფერენცია, მეცნიერების ფესტივალის ფარგლებში, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერით ტარდება და მრავალფეროვან ღონისძიებებს მოიცავს.

რექტორმა, ასევე, დააანონსა, რომ სამეცნიერო ფესტივალის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დღე 22 სექტემბერი იქნებოდა, დღე, როდესაც უნივერსიტეტი ტრადიციადქცეულ სამეცნიერო მიმართულებებს წარუდგენდა სამცხე-ჯავახეთის რეგიონს: **ღონისძიებაში, სტუდენტებთან ერთად, მონაწილეობას მიიღებს ექვსივე მუნიციპალიტეტი და მათი სკოლების მოსწავლეები. განსაკუთრებულია მათი სიყვარული და მხარდაჭერა უნივერსიტეტის მიმართ, რაც ჩვენთვის ერთგვარი საიუბილეო საჩუქრია. მეამაყება, რომ დარბაზში სხედან ადამიანები, რომლებიც უნივერსიტეტის 35 წლიანი ისტორიის უშუალო თვითმხილველები არიან. ქვეყნის ისტორიასთან ერთად უნივერსიტეტის გზაც მრავალ ცვლილებასთან იყო დაკავშირებული. ბევრი რამ დაიხვეწა და განვითარდა, გაჩნდა ახალი პერსპექტივები. თუმცა, უცვლელი დარჩა მთავარი – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის იდეა, რომელიც ამ ხნის მანძილზე ერთსა და იმავე საქმეს, ერთსა და იმავე მისწრაფებას ემსახურება.**

რექტორმა განსაკუთრებული პატივისცემით მოიხსენია უნივერსიტეტის ისტორიის მთავარი შემოქმედი – პროფესორი **მერაბ ბერიძე.** როგორც ითქვა, სწორედ მისი წამოწყებული საქმეა ის საფუძველი, რომელმაც უნივერსიტეტს 35-წლიანი გზა გაუხსნა.

„მეცნიერება გვაერთიანებს“ – ეს ჩვენი კონფერენციის მთავარი გზავნილია. უნივერსიტეტი ამ გზავნილის შესაბამისად 35 წლის მანძილზე აკავშირებს სხვადასხვა პროფესიის, სფეროსა და შეხედულებების მქონე ადამიანებს. სწორედ ეს ერთობა ქმნის საშუალებას, რომ უნივერსიტეტი არა მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულებად, არამედ ინტელექტუალურ, კულტურულ და სამეცნიერო ცენტრად გარდაიქმნას, სადაც ცოდნა აერთიანებს თაობებს, აზრებსა და იდეებს. – აღნიშნა ქალბატონმა მაკამ და სიტყვა უნივერსიტეტის დამაარსებელსა და მის პირველ რექტორს, პროფესორ **მერაბ ბერიძეს** გადასცა.

მოგესალმებით, ბატონებო და ქალბატონებო, კოლეგებო და მეგობრებო. დღეს ჩემთვის განსაკუთრებული დღეა – დღე, რომელიც ადამიანის არსებობისა და შემოქმედებითი მისწრაფებების მნიშვნელობას ასახავს. თითოეული ჩვენგანი ვემსახურებით მეცნიერებას და ეს სამსახური ჩვენს სისხლშია, ჩვენი კულტურისა და ისტორიის ნაწილია. 35 წელი არ არის მცირე დრო. ეს საიუბილეო წელი მიუთითებს უნივერსიტეტის მდგრადობაზე, განვითარებასა და სამეცნიერო ტრადიციების არსებობაზე. კონფერენცია საშუალებას იძლევა, მეცნიერებმა ერთმანეთს გამოცდილება გაუზიარონ, გააცნონ ნაშრომები, იდეები და შეაფასონ ერთმანეთის მიღწევები. ჩვენი ერთობა ემსახურება ერთ მიზანს – მეტი გავაკეთოთ ჩვენი რეგიონისთვის, სამცხე-ჯავახეთისთვის და ჩვენი ქვეყნისთვის – საქართველოსთვის.

ბატონმა მერაბმა გაიხსენა უნივერსიტეტის ჩამოყალიბების ისტორია. აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა, 1990 წლიდან დღემდე, მრავალი გამოწვევა გადალახა. გაიხსენა 1991 წელს გამართული კონფერენცია, რომელშიც მხოლოდ ჰუმანიტარული მეცნიერებების წარმომადგენლები იღებდნენ მონაწილეობას, თუმცა, ეს იმ დროს, უდიდესი სიახლე იყო ახალციხის საზოგადოებისათვის.

დღეს გეოგრაფიული პროვინციალურობა არ ნიშნავს ინტელექტუალურ პროვინციალიზმს. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქმე სერიოზულია და ჩვენი წვლილი განუყოფელია სამეცნიერო სივრცეში. დღეს სამეცნიერო ინტელიგენცია სამხრეთ საქართველოში აერთიანებს სტუდენტებს, მეცნიერებს და საზოგადოებას. უნივერსიტეტი არა მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულებაა, არამედ ინტელექტუალური და სამეცნიერო ცენტრია, სადაც თავისუფლება, შემოქმედება და ცოდნა ერთმანეთს ერწყმის. თითოეული კონფერენცია იძლევა შესაძლებლობას, რომ იდეები გავცვალოთ, გამოცდილება გავუზიაროთ ერთმანეთს, რათა ერთიან მიზანს მივაღწიოთ. – აღნიშნა პროფესორმა.

კონფერენციის გახსნით ნაწილზე გაიხსენეს ის გზა და ის ადამიანები, რომლებიც უნივერსიტეტის ისტორიის მონაწილენი იყვნენ.

რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, პროფესორი ნიკოლოზ ახალკაცი:

ისტორიის ფაკულტეტზე სწავლის პარალელურად შევისწავლე ურარტული ენა. ძველი აღმოსავლეთის სპეციალისტი ვერ გავხდებოდი, თუ არ მეცოდინებოდა აქადური ენა. მაშინ, ბატონი ზურაბ კიკნაძე აქადური ენის ერთადერთი სპეციალისტი იყო და მასთან დავიწყე ამ ენის შესწავლა. 90-იან წლებში, ასურულოგიის კათედრაზე, რომელიც ახალი გახსნილი იყო, ლაბორანტად დამნიშნეს. 2 კვირის დანიშნული ვიყავი, როდესაც ბატონმა ზურაბმა მითხრა, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში იხსნება თსუ-ს ფილიალი და ამ ფილიალს გვერდში დგომა უნდა. ამიტომ, კარგი იქნება, სამუშაოდ იქ თუ წახვალო. აქედან დაიწყო ჩემი კავშირი ჩვენს უნივერსიტეტთან. მახსოვს, 90-იან წლებში, დეკემბერში, კონფერენციები რომ ტარდებოდა, არ იყო გათბობა, არ იყო შუქი, მაგრამ კონფერენციას ერთი მეცნიერიც კი არ დაკლებია. გასახსენებლი ბევრია. ჩვენმა უნივერსიტეტმა ბევრს მიაღწია და მინდა კიდევ ბევრი წარმატება ვუსურვო.

ასოცირებული პროფესორი **ლალი ბერიძე: მოვითხოვე სიტყვა და ვიფიქრე, რა მინდა ვთქვა. გადავხედე ჩემს პირველ სტუდენტებს – ჩვენი უნივერსიტეტის თანამშრომლებსა და სამეცნიერო წრის წარმომადგენლებს – მაია ქუქჩიშვილს და როინ ყავრელიშვილს. ეს არის ჩვენი უნივერსიტეტის ყველაზე დიდი მიღწევა, როდესაც მასწავლებელი და მოსწავლე ერთმანეთს გვერდს უმშვენებს და ვამაყობთ ამით. ასევე, ჩვენი უნივერსიტეტის რექტორი, ქალბატონი მაკა, ჩვენი კურსდამთავრებული – ნათელა მელიქიძე არიან აქ და სწორედ ეს არის უნივერსიტეტის დიდი გამარჯვება.**

იურიდიული ფაკულტეტის მოწვეული პედაგოგი **ნელი ღონღაძე: ბატონმა მერაბმა 90-იანი წლები ახსენა. ყველამ კარგად ვიცით ეს წლები. როდესაც დაისვა საკითხი, რომ ახალციხეში უნდა გახსნილიყო უნივერსიტეტი, დადგა შენობის გამოყოფის საკითხი. ყველაზე კარგი შენობა იყო ამჟამინდელი უნივერსიტეტის მეორე კორპუსი, რომელშიც მაშინ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი ფუნქციონირებდა. მაშინ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმიდან მკაცრი უარით გაგვიშვეს. ვიყავით იმდროინდელ ორივე პროფტექნიკურ სასწავლებელშიც. მეორე პროფტექნიკურ სასწავლებელში, რომელიც ახლა უნივერსიტეტის პირველი სასწავლო კორპუსია, დაგვთანხმდნენ უნივერსიტეტისათვის შენობის ნაწილი დაეთმოთ. ბატონი მერაბი როდესაც უკვე მობრძანდა, ეს ყველასთვის სიხარული იყო. ერთი პატარა მაგიდითა და რამდენიმე სკამით დაიწყო მან ამ შენობაში საქმიანობა. როდესაც ახლა შევდივარ უნივერსიტეტში, ყოველთვის მახსენდება, როგორ საფეხურებად, პატარ-პატარა საქმეებით მოვიდა დღევანდელობამდე. იურიდიულ ფაკულტეტსაც 30 წელი უსრულდება წელს და მისთვისაც საიუბილეო თარიღია.**

ასოცირებული პროფესორი **ცირა მესხიშვილი: „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის მერე, უნივერსიტეტის გახსნა იყო უდიდესი მოვლენა ჩვენი რეგიონის ცხოვრებაში. მადლობა მინდა ვთქვა იმისთვის, რომ უნივერსიტეტი ჩემი მეორე ოჯახი გახდა. მე სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმშიც ვმუშაობდი და ძალიან მიყვარდა, მაგრამ უნივერსიტეტის სიყვარულმა იმძლავრა და აქ წამოვედი სამუშაოდ. მინდა გავიხსენო ის საქმე, რომელიც ჩვენმა უნივერსიტეტმა და მაშინდელმა რექტორმა, მერაბ ბერიძემ გააკეთა. ეს იყო ახალქალაქში უნივერსიტეტის ფილიალის გახსნა. ეს იყო სხვაგვარი შემართება. არავინ ფიქრობდა ხელფასზე, კომფორტზე; მივდიოდით ახალქალაქის გზაზე დანგრეული მანქანით, ჩამოდიოდა წყალი... მივდიოდით, არ ვჩერდებოდით. ყველა ერთი მიზნისთვის ვიბრძოდით – იქ სტუდენტები გველოდებოდნენ. ახლაც არ მესმის, ბატონმა მერაბმა მაშინ როგორ მოახსერხა ეს ყველაფერი. ერთი წინადადება შემომაქვს: რადგან წელს არის საიუბილეო წელი, ვინც პირველკურსელებთან წაიკითხავს ლექციებს, 10 წუთი რომ დავუთმოთ იმ ისტორიის მოყოლას, თუ როგორ გაიხსნა რეგიონში ეს უნივერსიტეტი.**

ბევრი გაიხსენეს, ბევრი იმსჯელეს. შემდეგ, კონფერენციის მონაწილეებმა სპეციალობების მიხედვით მათთვის განკუთვნილ სექციებში გააგრძელეს მუშაობა.

* * *

გთავაზობთ თითოეული სექციის მუშაობის შემაჯამებელ ანგარიშს.

ლიტერატურის სექციას ხელმძღვანელობდნენ პროფესორი **ნესტან სულავა,** ასოცირებული პროფესორი **ვახტანგ ინაური.** შემაჯამებელი მიმოხილვა საზოგადოებას გააცნო პროფრსორმა **ნესტან სულავამ:**

ჩვენს სექციაზე წარმოდგენილი იყო საინტერესო მოხსენებები, რადგან თემები იყო არა მხოლოდ ქართული ლიტერატურის, არამედ საზღვარგარეთული ლიტერატურის მიმართულებითაც. გამოვყოფდი მოწვეული პედაგოგის **სოფიო გიქოშვილის** თემას – **„ქალის ბედის კრიტიკული ხედვა თეოდორ დრაიზერის „და კერის” მიხედვით“.** სოფიო კონფერენციის დებიუტანტი გახლდათ. მან საინტერესოდ მიმოიხილა თეოდორ დრაიზერის „და კერის“ მიხედვით ქალის პრობლემატიკა.

ასევე, ასოცირებული პროფესორის **დიანა მიქელაძის** თემა – **„ეკოლოგიური დისტოპია და გლობალური პასუხისმგებლობა მარგარეტ ეტვუდის პროზაში”** იყო საინტერესო, რადგან პრობლემატურ საკითხზე იყო ყურადღება გამახვილებული. მესამე მოხსენება საზღვარგარეთული ლიტერატურის მიმართულებიდან იყო ასოცირებული პროფესორის **მარინე შონიას** თემა – **„თურქული ხალხური თეატრის ელემენტები ჰალდუნ თანერის პიესაში „ქეშანელი ალის დესთანი“.** უაღრესად საინტერესო მოხსენება გახლდათ, რადგან ეს მხოლოდ ლიტერატურას კი არა,

→

ამავე დროს, ხალხური თეატრის პრობლემატიკასაც ეხებოდა და კომპლექსური საკითხი იყო დასმული ამ მოხსენებაში. ასოცირებულ პროფესორს **მაყვალა დავითაძეს** თემაში – **„ფსიქოლოგიზმი აკაკი გაწერელიას რომანეტიუდში „ფაიდას გამოცხადება“** – ძალიან საინტერესო განხილვა ჰქონდა მოცემული.

საინტერესო იყო ასოცირებული პროფესორის **ვახტანგ ინაურის** მოხსენება **„დავით აღმაშენებლის ლიტერატურულ-ისტორიული სახე ვასილ ბარნოვის მიხედვით.”**

ქალბატონი მაყვალას და ბატონი ვახტანგის მოხსენებებს აერთიანებდა ისტორიულ პირთა შესახებ დაწერილი ნაწარმოებების განხილვა და ამიტომ, ამ ორი თემის მოსმენა იყო საინტერესო. უნდა გამოვყო ფილოლოგიის დოქტორის **ია ღადუას** მოხსენება – **„სიტყვათქმნადობის ეროვნული პროცესი რუსუდან ნიკოლაძის მოგონებების მიხედვით”.** მოხსენებაში განხილული გახლდათ ნიკოლაძეების ოჯახის გამოცდილება სიტყვადქმნადობასთან, ტერმინთშემოქმედებასთან დაკავშირებით და ეს იყო მთლიანად არქივის მასალაზე დამყარებული კვლევა. საინტერესო მოხსენება წარმოადგინა ფილოლოგიის დოქტორმა **სალომე ზვიადაძემ – „მართლმადიდებლური ეკლესიის მდგომარეობა კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ”.** ქალბატონი სალომე გახლავთ დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერი პიროვნება და მინდოდა ამაზეც გამემახვილებინა ყურადღება. ფილოლოგიის დოქტორმა **მაია ივანიძემ** წარმოადგინა თემა – **„სამცხე-ჯავახეთში გავრცელებული ლექსები, თქმულებები, გადმოცემები და ლეგენდები თამარ მეფის შესახებ”.** აქედან ზოგი მათგანი იყო გამოქვეყნებული, ზოგი თავად ქალბატონი მაიას მიერ შეკრებილი. ასევე, ფილოლოგიის დოქტორს **ნინო მეგენეიშვილს** ჰქონდა საინტერესო თემა – **„ცნობები კამალდულთა ორდენის შესახებ საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ლათინური ხელნაწერების მიხედვით”.** ჩემი თემა გახლდათ – **„ქართული ქრისტიანული გალობის მრავალხმიანობისა და ძველი სანოტო სისტემის ურთიერთმიმართების საკითხი”.**

ზოგადად, სექციამ წარმატებულად იმუშავა და ბევრი საინტერესო მოხსენება იქნა მოსმენილი.

ისტორიის სექციას ხელმძღვანელობდნენ პროფესორები **ნიკოლოზ ახალკაცი** და **თინა იველაშვილი.** სექციის მუშაობა მიმოიხილა პროფესორმა **ნიკოლოზ ახალკაცმა:**

სექციაზე იყო 10 მომხსენებელი. ყველა თემა კვლევის შედეგად მოპოვებულ მასალაზე იყო დაფუძნებული. თითქმის ყველა მოხსენება მომზადებულია სტატიების სახით. უმეტესი ნაწილი სამცხე-ჯავახეთის რეგიონის პრობლემატიკას ეხებოდა. გამოვყოფდი მუსლიმ მესხებთან დაკავშირებულ, ასევე, სოფელ საროს ტერიტორიაზე არსებულ ბუნებრივ და ხელით ნაკვეთ მღვიმე-სახიზრების (ქვაბიკარი) შესახებ მოხსენებებს. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრები წარმოებდა, არის ბევრი ქვაბული, რომლებიც კვლევის გაგრძელებას ითხოვს. საინტერესო გახლდათ მოხსენება **„მესხური სოფლის ეთნოგრაფიული ყოფის ასწლიანი დინამიკა (1924-2024)”.** სექციაზე წარმოდგენილი იქნა დოკუმენტი ახალციხის საქალაქო ცხოვრებიდან (1876 წ.), რომელიც წინა საუკუნეში ახალციხის ყოფით ცხოვრებას ეხებოდა. ასევე, წარმოდგენილი იყო ადგილობრივი ახალციხის სომეხი ბოშების ეთნოკულტურული თავისებურებები. ბევრი გვსმენია ამ საკითხთან დაკავშირებით და მაინც იმდენი სიახლე გავიგეთ, რომ კარგი იქნებოდა, ყველას მოესმინა ეს თემა. საინტერესო კვლელვა იქნა წარმოდგენილი თემით – „მხედრის (მითრა-მენის) გამოსახულება საქართველოს გლიპტიკურ ძეგლებზე”, ასევე, **„1963 წლის 26 მაისის დღესასწაული ქართულ ემიგრაციაში (არგენტინა, საფრანგეთი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ამერიკის შეერთებული შტატები)”.** მოვისმენინეთ მოხსენება **„საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ გამოცემული „კანონი მიწის შესახებ” და თანმდევი პროცესები სამცხე-ჯავახეთში“.** მიხარია, რომ სექციამ წარმატებულად და ნაყოფიერად იმუშავა.

განათლების სექციას ხელმძღვანელობდნენ პროფესორი **ირმა ქურდაძე** და ასისტენტ-პროფესორი **თამარ ნარიმანიშვილი.** შემაჯამებელი მოხსენება საზოგადოებას წარუდგინა პროფესორმა **ირმა ქურდაძემ:** ჩვენს სექციაში 14 მოხსენება იყო წარმოდგენილი. თემები იყო აქტუალური, საინტერესო და ეხმაურებოდა იმ პრობლემატიკას, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანია. „სწავლების თანამედროვე მიდგომები სკოლამდელი ასაკის დაწესებულებებში“; „მხატვრული ტექსტი, როგორც სოციალურ-ემოციური უნარების განვითარების საშუალება უცხოური ენის გაკვეთილზე: ქრისტა რაინიგის იგავის ანალიზის საფუძველზე“; „თანამედროვე მასწავლებლის შესაძლებლობები და გამოწვევები“; „ინტერნეტ ენის გავლენის ტენდენციები თანამედროვე ინგლისურზე“; „სწავლა მოსწავლეთა” – ტექსტის სწავლების მეთოდოლოგიური ასპექტები“; „მედია და ინფორმაციული წიგნიერების ფორმირების საკითხი საუნივერსიტეტო სივრცეში“; „ციფრული წიგნიერება და ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სკოლის დაწყებით საფეხურზე“; „მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების ხერხები STEAM-ის სწავლების მიმართულებით“; „აკადემიური „გადაწვის“ პრობლემატიკა და მათი გადაჭრის გზები სტუდენტებში“; „პროექტით სწავლების მნიშვნელობა სკოლის დაწყებით საფეხურზე კრიტიკული აზროვნების განვითარებისათვის“; „სპეცმასწავლებლის მომზადების ზოგიერთი ასპექტი“; „ლექსიკის სწავლება სკოლაში და ასაკობრივი თავისებურებები“; „სტამბოლის ქართველ დედათა და მამათა სავანეების თანამშრომლობის საკითხის შესწავლისათვის“; „თამაშის როლი უცხოური ენის სწავლებაში“ – ეს ის მოხსენებებია, რომლებიც სექციაზე უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა წარმოადგინეს. ყველა თემა იყო საინტერესო. ყველა მათგანში წარმოდგენილი იყო კვლევა, კვლევის შედეგები. ამაყი ვარ, რომ სექციის მუშაობა შედგა წარმატებულად.

ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის სექციას ხელმძღვანელობდნენ პროფესორები **ლავრენტი ჩიბურდანიძე** და **ცისკარა ზარანდია.** შემაჯამებელი მოხსენებით აუდიტორიის წინაშე წარსდგა სექციის მონაწილე, ასოცირებული პროფესორი **ნანა ჯღარკავა:** ეკონომიკისა და ბიზნესის სექციაში 14 თემა იყო წარმოდგენილი. აქედან, მოხსენებების ნაწილი ადგილზე იქნა მოსმენილი, ასევე, ვიმუშავეთ ონლაინ რეჟიმში. მინდა გითხრათ, რომ თემატიკა იყო მრავალფეროვანი: აგრარული სექტორის ეკონომიკური, ადამიანური კაპიტალის ტრანსფორმაციის პრობლემები ხელოვნური ინტელექტის ეპოქაში, საპენსიო საინვესტიციო პოლიტიკის შესახებ მოხსენებები, სამცხე-ჯავახეთის დემოგრაფიული განვითარების ისტორიული და თანამედროვე საკითხების ურთიერთშედარება, მდგრადი განვითარების, მწვანე ეკონომიკის საკითხები და სხვა. იყო მსჯელობა, აზრთა გაზიარება. სექციამ ნაყოფიერად იმუშავა.

ვეტერინარიის სექციის ხელმძღვანელები გახლდნენ პროფესორები **ლევან მაკარაძე** და **ნინო მილაშვილი**. სექციის მუშაობა შეაჯამა პროფესორმა **ლევან მაკარაძემ:** სექციაზე დაგეგმილი იყო 18 მოხსენების წარდგენა. მათგან, ყველა იქნა მოსმენილი. სექციამ ჰიბრიდულ რეჟიმში იმუშავა. ყველა მოხსენებამ და ავტორმა დიდი მოწონება დაიმსახურა. 18 მოხსენებიდან 15 გახლდათ ექსპერიმენტული ხასიათის. აქედან, სამი მოხსენება იყო საერთაშორისო საგრანტო პროექტების კვლევების შედეგები. 15-დან 8 მოხსენება იყო სამედიცინო და ვეტერინარული მნიშვნელობის კვლევები და აქედან მიღებული შედეგები დღესაც გამოიყენება როგორც ვეტერინარიაში, ასევე, მედიცინაშიც. უამრავი დაავადებაა, რომელიც ცხოველებისაგან გადადის ადამიანებზე და ამ კუთხით საინტერესო კვლევები იყო წარმოდგენილი. ვეტერინარიის მიმართულებას ხელშეკრულებები აქვს დადებული სხვადასხვა ორგანიზაციებთან როგორც სამეცნიერო, ასევე, სამედიცინო მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციებთან და ამ კონფერენციაზე, მათაც წარმოადგინეს ერთობლივი შრომები. ეს იმას ნიშნავს, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქმიანობა წარმატებულად ხორციელდება. ასევე, არაინფექციური ხასიათის მოხსენებებიდან 3 გახლდათ მიმოხილვითი და ინფორმაციული ხასიათის. თუ გაეცნობით შრომას, დარწმუნდებით, რომ სერიოზული მუშაობა იყო ჩატარებული. ერთ სივრცეში მოექცა კვლევის შედეგები, რაც მნიშვნელოვანია.

აგრონომიისა და ეკოლოგიის სექციას ხელმძღვანელობდნენ ასოცირებული პროფესორი **ზაირა ტყეებუჩავა** და აგრონომიის დოქტორი **მზია ლობჯანიძე.** სექციის მუშაობა პროფესორმა **ლევან მაკარაძემ** შეაჯამა:

აგრონომიის სექციაში წარმოდგენილი იყო 9 მოხსენება. აქედან ყველა იქნა წაკითხული. 7 – კონტაქტურად, 2 – ონლაინ რეჟიმში მოვისმინეთ. ეს დაკავშირებული იყო მეცნიერ-მუშაკთა საზღვარგარეთ ყოფნასთან დაკავშირებით. ვინც ამ მიმართულებას იცნობს, ნახავს, რომ კვლევები არის ექსპერიმენტული და საერთაშორისო მნიშვნელობის. მაქვს შემოთავაზება. კარგი იქნება, თუ დაიგეგმება სექციებიდან 2-3 მოხსენების წაკითხვა გაერთიანებულ კონფერენციაზე, რადგან არის საკითხები, რომლებიც ერთნაირადაა მნიშვნელოვანი ნებისმიერი სფეროს წარმომადგენელისათვის.

ინფორმაციული ტექნოლოგიების სექციის მუშაობა შეაჯამა მისმა ხელმძღვანელმა, ასოცირებული პროფესორმა – **ლელა წითაშვილმა:** სექციაზე შვიდი მოხსენება იქნა წარმოდგენილი: „ტრანსფორმერული არქიტექტურების (Transformer Architectures) გავლენა ბუნებრივი ენის დამუშავებაზე (NLP)“; „მოწინავე ალგორითმები და ახალი ტენდენციები ელექტრონული წრედების პარამეტრების ვერიფიკაციაში“; „უსაფრთხო კომუნიკაციების მომავალი: კვანტური ქსელები და კომპიუტერული ქსელების უსაფრთხოება“; „ინფორმაციული ნაკადების როლი ეკონომიკური სუბიექტის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში“; „ფანჯრის ფუნქციებზე დაფუძნებული დაბალსიხშირული სიმ ფილტრის დიზაინი და ანალიზი MATLAB სიმულაციით“; „კონტროლირებადი თვითსწავლება კონვოლუციურ ნეირონულ ქსელებში“; „ცოდნის ამოღება დიდ მონაცემთა ნაკრებიდან“. – ეს გახლდათ ის მოხსენებები, რომლებიც წარმოდგენილი იყო სექციის მუშაობის პროცესში. გავეცანით ყველა იმ სიახლეს, რომლებიც ამ ეპოქის გამოწვევებს პასუხობდა. ვთვლით, რომ ჩვენს სფეროში სიახლეებს ფეხდაფეხ მივყვებით. ძალიან მოტივირებული პროფესურა, ასევე, დოქტორანტები გვყავს და ვცდილობთ, რომ არ ჩამოვრჩეთ ამ სიახლეებს.

ფიზიკა-ასტრონომიის სექციას ხელმძღვანელობდნენ პროფესორები **რევაზ ჭიღლაძე** და **გიორგი მესხი.** სექციის მუშაობა შეაჯამა ფიზიკის დოქტორმა **გივი კაპანაძემ:**

კონფერენციაზე 7 მოხსენებიდან 6 იქნა წაკითხული. წარმოდგენილი თემები ეყრდნობოდა დაკვირვებით მასალას და მიღებულ შედეგებს. ნაყოფიერი იყო ჩვენი სექციის მუშაობა და პრეტენზიაც კი გაგვაჩნია აღმოჩენაზე, რომელსაც უახლოეს მომავალში გავაჟღერებთ. ეს არის ღია გროვებთან დაკავშირებული აღმოჩენა, რომლის შესახებ ჩვენ გავაჟღერებთ პირველად. სექციამ ნაყოფიერად და წარმატებულად იმუშავა.

სამართლისა და საჯარო მმართველობის სექციას ხელმძღვანელობდნენ ასოცირებული პროფესორები **დავით ხობელია** და **ბაკურ ლილუაშვილი.** სექციის მუშაობა მიმოიხილა **დავით ხობელიამ:**

ჩვენთან 12 მომხსენებელი იყო წარმოდგენილი. საინტერესო იყო სექციის მუშაობა. მოხარული ვარ, რომ ჩვენი ვეტერანი თანამშრომელი **ნელი ღონღაძე** ყოველ კონფერენციაზე გამოდის. წელსაც წარმოადგინა საინტერესო თემატიკა. მოხსენებები წარმოდგენილი იყო როგორც იურიდიულ, ასევე, საჯარო სფეროდან. ჩვენი სექციის მუშაობა წარმატებით დამთავრდა.

* * *

სამეცნიერო კონფერენციამ კიდევ ერთხელ წარმოაჩინა, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი თავისი 35 წლიანი ისტორიის არსებობით რეგიონში არა მხოლოდ საგანმანათლებლო, არამედ სამეცნიერო და ინტელექტუალური ცენტრის ფუნქციასაც წარმატებით ასრულებს. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი რჩება სამეცნიერო ერთობის, შემოქმედებითი თავისუფლებისა და ცოდნის ცენტრად და კონფერენციაზე წარმოდგენილ თითოეულ მონაწილეს წვლილი შეაქვს რეგიონისა და ქვეყნის განვითარების საქმეში.

ლიკა ზაზაშვილი

ოჯახი, რომელსაც უნივერსიტეტი ჰქვია

„როგორც ოჯახი, უნივერსიტეტიც ის სივრცეა, რომელიც ორიენტირებულია ოჯახის თითოეული წევრის წარმატებაზე.“

პირველი გვერდიდან

მე ვისარგებლებ თქვენთან შეხვედრის შესაძლებლობით და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხულ ყველა პირველკურსელს მივულოცავ სტუდენტობას. ბუნებრივია, ეს არის ძალიან წარმატებული ნაბიჯი არა მხოლოდ იმიტომ, რომ მოიპოვეთ სტუდენტის სტატუსი და დაეუფლებით კონკრეტულ სპეციალობას; კონკრეტული სპეციალობის გარდა, უნივერსიტეტში ჩაბარება ერთდროულად ნიშნავს ძალიან დიდ პასუხისმგებლობის გრძნობას, საუნივერსიტეტო ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას, თქვენ თავად გახდეთ საკუთარი ცხოვრების შემოქმედი... შესაბამისად, მივმართავ თითოეულ პირველკურსელს და ვეტყვი, რომ მათ პირველი დიდი გამარჯვება მოიპოვეს, როდესაც მოსწავლის სტატუსიდან მოიპოვეს სტუდენტის სტატუსი, მაგრამ მთავარი გამარჯვებები წინ გაქვთ! ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი გახლავთ, აღმოაჩინონ საკუთარი თავი, როგორც საქართველოს მოქალაქე, როგორც საქართველოს სამსახურში მდგომი პიროვნება და ცალსახად მინდა დავადასტურო, დღეს საქართველოს ისე სჭირდება თითოეული ახალგაზრდის ენერგია, მისი ძალისხმევა, მისი პროფესიონალიზმი, როგორც არასდროს. ყველაზე მთავარი გამოწვევა, რაც ექნებათ პირველ კურსელებს ახლა, გახლავთ ის, რომ გარკვეულ შეცვლილ სტანდარტებთან ერთად მოუწევთ სწავლა. ვგულისხმობ იმას, რომ ყოველწლიურად იზრდება მოთხოვნები, ყოველწლიურად ახალგაზრდების წინაშე დადგება კიდევ უფრო მაღალი სტანდარტები. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ცდილობს, არ ჩამორჩეს დროს, არ ჩამორჩეს დროის მოთხოვნებს. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი რეგიონის მასშტაბით ფუნქციონირებს, არ ჩამორჩეს საერთაშორისო და ეროვნულ სტანდარტებს და ძალიან ბევრ საკითხში იყოს პირველი. შესაბამისად, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს დღემდე აქვს თავისი განვითარების, თავისი საქმიანობის წარმატებული გზა. პირველკურსელებზე განსაკუთრებითაა დამოკიდებული, რამდენად გაგრძელდება ეს გზა. ვფიქრობ, ისინი არიან წარმატებული ახალგაზრდები, რომლებიც გააგრძელებენ უნივერსიტეტის ტრადიციებს. მე მათ მოვუწოდებ, რომ იყვნენ აქტიურები და თვითონ შექმნან მათთვის სასურველი საუნივერსიტეტო გარემო. უნივერსიტეტი, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და თითოეული აქ მყოფი ადამიანი, როგორც ყოველთვის, იქნება მათი თითოეული ინიციატივის სერიოზული და ყველაზე დიდი მხარდამჭერი.

– განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია „რექტორის საათის“ ფარგლებში ჩატარებული შეხვედრები. რა ემოციები და სურვილები, როგორი მოლოდინები გაგიზიარეს პირველკურსელებმა, ქალბატონო მაკა?

– ვინაიდან სწავლა 29 სექტემბერს დავიწყეთ, რიგით მეორე **„რექტორის საათის“** შეხვედრა გვექნება შემდეგ კვირას. თავშივე მინდა გითხრათ, რომ ძალიან აქტიურები არიან და ელოდებიან ამ შეხვედრას. მათი უკუკავშირი და გამოხმაურება ძალიან სინტერესოა. ამას გარდა, რაც მომწონს – ახალგაზრდები არ ერიდებიან კითხვებსა და საკუთარი დამოკიდებულებების გაზიარებას – რა მოსწონთ და რა არ მოსწონთ. ერთი თავისებურებაც მინდა გითხრათ. განსაკუთრებით გაიზარდა იმ სტუდენტთა რიცხვი, რომლებიც შორი მანძილიდან დადიან ყოველ დღე. გაიზარდა ჩვენი გეოგრაფია. მოიმატა სტუდენტებმა სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან და ყოველთვის აქვთ თხოვნები, მოთხოვნები. მთავარი პრობლემები უკავშირდება უნივერსიტეტში საერთო საცხოვრებლის არ არსებობას, მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებით უკვე სახელმწიფოს პოლიტიკა იცვლება და მე ძალიან ბედნიერი ვიქნები, როდესაც სტუდენტებთან შეხვედრისას სიტყვები „ქალბატონო მაკა, ძალიან გვიჭირს 9 საათზე, ტრანსპორტის გამო, დროულად მოსვლა...“ ან „საღამოს ყველა სახლებში უკან უნდა დავბრუნდეთ...“ „გვიჭირს საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ჩართვა იმის გამო, რომ ვერ ვახერხებ ბინის ქირაობას ახალციხეში...” აღარ გაიჟღერებს.

პირველი თვის გასვლის შემდეგ, ძირითადად, მაინც სტუდენტების ინტერესები ტექნიკურ თემებსა და საკითხებს ეხება. ეს არის მუდლის პროგრამის გამოყენება და სასწავლო პროცესში ჩართულობის საკითხები. ეს ბუნებრივიცაა. ისინი ახლა ერკვევიან საუნივერსიტეტო ცხოვრებაში და მოგეხსენებათ, სასწავლო პროცესი განსხვავებულადაა მოწყობილი.

– რა გამოწვევებით შეხვდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ახალ სასწავლო წელს?

– ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როდესაც გამოწვევები და, ასე ვთქვათ, წარმატებული პროექტები ერთმანეთის თანხვედრაშია. უფრო ზუსტად რომ გითხრათ, ძალიან მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებით შევხვდით სასწავლო წელს. ერთ-ერთი ასეთი სერიოზული პროექტი გულისხმობს პირველი კორპუსის სახურავის სრულ რეაბილიტაციას. რეალურად, ახალი სახურავი უკეთდება პირველ კორპუსს. პირველი სასწავლო კორპუსი, მოგეხსენებათ, ადმინისტრაციული კორპუსია. ჩვენი სტუდენტების უმრავლესობა, 60 პროცენტი თუ მეტი არა, სწორედ პირველი კორპუსის სტუდენტია, ვინაიდან ორი ძალიან სერიოზული ფაკულტეტი ფუნქციონირებს. შესაბამისად, პირველად, 35 წლის განმავლობაში, ჩვენ ვსწავლობთ ერთ კორპუსში, თუ არ ჩავთვლით იმ დროს, როდესაც სამი სპეციალობა ფუნქციონირებდა. მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტი ორ კორპუსში განთავსდა, პირველად მოხდა, რომ ჩვენ ისევ ერთ კორპუსში ვაგრძელებთ სასწავლო პროცესს. ამას აქვს სერიოზული გამოწვევები. ადმინისტრაციის იმ ნაწილმა, რომელსაც ყოველდღიური შეხება აქვს სტუდენტებთან, შეიცვალა სამუშაო გარემო. რა თქმა უნდა, შეიცვალა ჩვეული გარემოც. მეორე კორპუსის ფაკულტეტებს დაემატა განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა, ასევე, იურიდიული ფაკულტეტი. ფაქტობრივად, მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობს რეალურად სწავლა. არ არის აუდიტორიები. ავითვისეთ აბსოლუტურად ყველა სართული, მათ შორის, სარდაფების აუდიტორიებიც და ვატარებთ ლექციებს. მინდა, ყველა თანამშრომელს, ყველა პროფესორს, ეს იქნება ადმინისტრაცია და განსაკუთრებით კი ჩვენს სტუდენტებს ვუთხრა ძალიან დიდი მადლობა იმიტომ, რომ სრული გაგებით მოეკიდნენ ამ საკითხს. დაირღვა მათი ჩვეულებრივი მდგომარეობა, თუმცა, არ გამოუხატავთ ამასთან დაკავშირებით გარკვეული გულისწყრომა, რაც მიანიშნებს იმას, რომ უნივერსიტეტი ერთი ოჯახია; ყველამ კარგად გაიგო, რომ ეს დროებითი ღონისძიებაა, რომელიც ქმნის გარკვეულ დისკომფორტს, მაგრამ ეს არის მხოლოდ და მხოლოდ იმისთვის, რომ კიდევ უკეთესი იყოს ჩვენი გარემო. მე ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, რომელმაც დააფინანსა უნივერსიტეტი 650 000-მდე ლარით. წელს უნივერსიტეტის 35 წლის იუბილეა და ეს იყო საიუბილეო საჩუქარი სამინისტროს მხრიდან. შესაბამისად, ძალიან დიდი მოტივაციაა ჩვენთვის, როდესაც გრძნობ ასეთ მხარდაჭერას. მინდა გითხრათ, რომ სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობს ძალიან სწრაფი ტემპით და მაღალი ხარისხით. მე რა ინფორმაციაც მაქვს, ვარ ძალიან კმაყოფილი და მაქვს მოლოდინი, რომ არცერთი დღით არ დაგვიანდება სამუშაოების დასრულება. სამშენებლო ფირმას ამისთვის აქვს სამი თვე განსაზღვრული. პირველი თვე თითქმის გავიდა და მე ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ 2026 წელს ჩვენ შევძლებთ, დავუბრუნდეთ პირველ კორპუსს.

უნდა გავაგრძელო განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს და პერსონალურად ბატონი გივი მიქანაძის მხარდაჭერის ისტორია. საბუნებისმეტყველო და აგრარული მიმართულების პროგრამების მხარდასაჭერად სამინისტრომ გაიღო სერიოზული ფინანსები ნახევარი მილიონი ლარის ოდენობით, რაც უნდა მოხმარდეს სპეციალური ლაბორატორიების აღჭურვას. ეს ძალიან წინ გადადგმული ნაბიჯია. ლაბორატორიული აღჭურვილობა, რომლითაც ჩვენ შეგვეძლება ერთიორად გავზარდოთ სწავლების ხარისხი, არის ჰაერივით საჭირო ისეთ მნიშვნელოვან მიმართულებაში, როგორიცაა აგრონომია და ვეტერინარია. ასე რომ, როგორც გითხარით, გამოწვევასთან ერთად, ეს დიდი წინსვლაა, ვინაიდან წლის ბოლოს ჩვენ აღჭურვილი ლაბორატორიები უნდა დავახვედროთ სტუდენტებს და მე დიდი იმედი მაქვს, რომ წლის ბოლოს უნივერსიტეტი უმასპინძლებს უშუალოდ მინისტრს და პერსონალურად გვექნება შესაძლებლობა ვუთხრათ მადლობა ახალი სახურავისთვის, რომელიც ასე მკვიდრად დაიცავს ჩვენს პირველ კორპუსს, ახალი ლაბორატორიებისთვის, რომლებიც ვეტერინარიის მიმართულებით სასწავლო პროცესის ხარისხს გახდის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისს.

უნივერსიტეტის კიდევ ერთი გამოწვევა უმაღლესი განათლების დაანონსებული რეფორმაა. ჩვენ სერიოზული ფუნქცია დაგვაკისრა პრემიერმა ამ კონცეფციის განხილვის დროს. ეს ყოველივე ტელევიზიის საშუალებით გავრცელდა, თუმცა დარწმუნებული ვარ, იქნება საზოგადოების ვიწრო ჯგუფებში, საუნივერსიტეტო სივრცის წარმომადგენლებთან შეხვედრა. უნივერსიტეტისთვის ესეც გამოწვევაა – უპასუხოს დაკისრებულ ვალდებულებას, რაც ნიშნავს იმას, რომ ჩვენ კიდევ ერთხელ უნდა გადავხედოთ ჩვენს რესურსებს, ჩვენს სტრატეგიას, ჩვენი განვითარების გეგმას.

– ქალბატონო მაკა, უნივერსიტეტში მიმდინარე ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესების შესახებაც რომ გვითხრათ.

– დიახ, დიახ. ამ წლის მთავარი გამოწვევა გახდა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესები. დავიწყოთ აკრედიტაციით. ალბათ, არ მომეპოვება სხვა წელი, როდესაც უნივერსიტეტს ჰქონდა ამდენი სააკრედიტაციო ვიზიტი. ფაქტობრივად, ყველა რეგულირებადი მიმართულების აკრედიტაცია იყო წელს. უნივერსიტეტმა ძალიან წარმატებულად გაიარა განათლების კლასტერის აკრედიტაცია. უნივერსიტეტმა უკვე გავისტუმრეთ ვეტერინარიის კლასტერის აკრედიტაციის ექსპერტები. უნივერსიტეტში კიდევ მე-3 რეგულირებადი სპეციალობა გვაქვს, ეს არის სამართალმცოდნეობა და პირველ ნოემბერს ვაგზავნით სააკრედიტაციო განაცხადს. წარმოგიდგენიათ, აკრედიტაციის სამი რეგურილებადი კლასტერი და სამივე კლასტერის აკრედიტაცია სწორედ წლევანდელ წელს დაემთხვა.

მოგეხსენებათ, უნივერსიტეტები გადიან ავტორიზაციას, რაც ნიშნავს სწავლების უფლების მოპოვებას, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულების. წელს ორი საავტორიზაციო განაცხადი შეიტანა უნივერსიტეტმა როგორც უმაღლესმა, ასევე, პროფესიულმა დაწესებულებამ. ასე რომ, შეგვიძლია ვთქვათ, ყველაზე რთული საკრედიტაციო და საავტორიზაციო ეტაპები ჩვენთან 2025 წელს უკავშირდება. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს პროცესები იქნება ძალიან წარმატებული.

უნივერსიტეტში ჩვენ ასეთი ტრადიცია გვაქვს: წინასწარ დანიშნულ დღეს, რომელსაც „უნივერსიტეტის მისიის დღეს” ვუწოდებთ, ყველა აუდიტორიაში სტუდენტები განიხილავენ, კიდევ ერთხელ, რამდენად მოსწონთ უნივერსიტეტის მისიის ირგვლივ არსებული რეალობა. გვაქვს რიგი შემთხვევა, როდესაც ორი მთავარი მიმართულებით შემოვიდა ცვლილებების ინიცირება. ერთი აფხაზური ცენტრის საქმიანობას უკავშირდება და აფხაზური ცენტრის ინიცირებით ჩვენი მისია აუცილებლად სამშვიდობო განათლების წარმატებით დანერგვას. მინდა ამ ახალგაზრდებს ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო. მათ ახალი ინიციატივა და ახალი რეალობა შექმნეს, ამას მოყვება სტრატეგიულ გეგმაში სამშვიდობო პოლიტიკის გაწერა. მათი საქმიანობა იქნება ძალიან მდგრადი. უნივერსიტეტის ბიუჯეტი აიღებს ვალდებულებას, რომ მაქსიმალურად შეუწყოს ხელი.

მეორე ცვლილება ეს არის ციფრული ტექნოლოგიები და უფრო მეტი აქცენტის გაკეთება გაციფრულებისკენ. ესეც ძალიან მნიშვნელოვანია დღეს 21-ე საუკუნეში და აქაც სერიოზულად ვფიქრობთ, რომ ციფრული ტექნოლოგიები დავნერგოთ თავად უნივერსიტეტის ადმინისტრირებაშიც კი. როდესაც სტრატეგიულ გეგმას გადავხედეთ ძალიან კრიტიკულად, ცალკე მიმართულებად დავამატეთ მესამე მისიაც. მესამე მისიის ფარგლებში ის იღებს პასუხისმგებლობას, რომ კიდევ უფრო მეტი წვლილი შეიტანოს პროფესიული პროგრამების მიმართულებით. ავტორიზაციის წელს პირველად ახალქალაქში რეაბილიტირებულ კორპუსში გადავა მთელი პროფესიული პროგრამები. ამისთვისაც დიდი მადლობა განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, რომელმაც სამ მილიონ ლარზე მეტით დააფინანსა კორპუსის რეაბილიტაცია და ჩვენ შევუდგებით ახალქალაქში ძალიან ღირსეულად პროფესიული პროგრამების განხორციელებას, რისი წარმატებული გამოცდილება უკვე გვაქვს.

– სასწავლო პროგრამებში შეტანილ ცვლილებებზე რას გვეტყვით?

– ძალიან დიდი მადლობა ამ კითხვისთვის. უნივერსიტეტი ნებისმიერი ცვლილებისთვის, ინიციატივისთვის ღიაა, განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს ცვლი-

→

ლება და ინიციატივა მისი მისიის, უნივერსიტეტის ღირებულებების, უნივერსიტეტის ხედვის თანმხვედრია. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს სამი ღირებულება აქვს არჩეული. ეს არის: თავისუფლება, ეროვნულობა და ტოლერანტობა. შესაბამისად, როდესაც რაღაც ახალი ინიციატივა განიხილება უნივერსიტეტის ფარგლებში, რა თქმა უნდა, პირველ რიგში განიხილება უნივერსიტეტის მიერ არჩეული ღირებულებების კონტექსტში.

სიახლე, რომელზეც ახლა მე თქვენ უნდა გესაუბროთ, ეხება განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მინისტრის ბრძანებას, რომლითაც 2025-2026 წელს ჩაბარებულმა ყველა პირველკურსელმა უნდა გაიაროს სახელმწიფო ენის სპეციალური კურსი, ჩვენი სამივე ღირებულების შესაბამისია. სწორედ ამიტომ, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთ-ერთი ის უნივერსიტეტია, რომელმაც პირველივე სემესტრში, ამ ბრძანების გამოცემისთანავე, გადაწყვიტა, არ გადაედო ამ საკითხზე მუშაობა. ამ დოკუმენტაციის განხილვაში უნივერსიტეტები თავად იყვნენ ჩართულნი ძალიან აქტიურად. კონკრეტულად რას ეხება ინიციატივა – უნივერსიტეტში შევქმენით სახელმწიფო ენის სპეციალური კურსი. ქართული ენის მიმართულების პროფესურამ შექმნა სილაბუსი, რომელიც შედგება ოთხი საკითხისგან: ქართულ ენასთან დაკავშირებული ზოგადი საკითხები, როგორიცაა სალიტერატურო ენის ჩამოყალიბება, მისი განვითარების ძირითადი ეტაპები, დამწერლობის წარმოშობა-განვითარება, მეორე საკითხია ნორმალიზაციის პრობლემები – რა იწვევს ნორმის დარღვევას, რატომ უნდა გავუფრთხილდეთ ნორმას. შემდეგი საკითხი სტილისტიკაა და ბოლო საკითხი გახლავთ სამეცნიერო ტერმინოლოგია. უფრო ღრმად ამ საკითხს არ შევეხები. მე მხოლოდ მინდა გითხრათ, რომ სექტემბრიდან დავიწყეთ სახელმწიფო ენის სპციალური კურსის განხორციელება. არაჩვეულებრივი ახალგაზრდები გვყავს. ყველა სპეციალობის პირველკურსელს ეკითხება ეს კურსი, უბრალოდ, ქართულ ფილოლოგიაზე ოდნავ განსხვავებულია და ის ენათმეცნიერების საკითხებთან ერთად ისწავლება. აუდიტორიაში შესვლამ კიდევ უფრო დაგვარწმუნა, რომ ამ საკითხებზე მსჯელობას ჩვენი ახალგაზრდები საოცარი ინტერესით ეკიდებიან. უკვე ჩანს, რომ ინიციატივა არის წარმატებული და კურსის მიმართ ინტერესი ძალიან დიდია.

– სტუდენტები ხშირად ამბობენ, რომ უნივერსიტეტი მათი მეორე სახლია. თქვენთვის, როგორც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორისთვის, რა საერთო აქვს ოჯახურ გარემოს უნივერსიტეტთან.

– ყველაზე მეტად ჩემთვის ორ ნაწილში ემსგავსება. პირველი – ისევე, როგორც ოჯახში დაწერილი თუ დაუწერელი და ხშირად უფრო მეტად დაუწერელი კანონებით, ჩვენ ვალდებული ვართ, ერთმანეთზე ვიზრუნოთ. ურთიერთზრუნვა როგორც ოჯახში, ისე უნივერსიტეტში, საჭიროებს გარკვეული ზომიერების დაცვას. ეს არ ნიშნავს ერთმანეთის თავისუფლების შეზღუდვას; ეს არ ნიშნავს ერთმანეთის მართვას. ზრუნვა ნიშნავს მოფრთხილებას, ერთმანეთისთვის ხელშეწყობას, იმის ჩვენებას, რომ არ არის სულერთი ოჯახის წევრის ფასი. ზუსტად ამიტომ საუნივერსიტეტო გარემოში სტუდენტმა მინდა იგრძნოს, რომ აუდიტორიაში შესვლისთანავე იწყება მასზე ზრუნვა; ყოველთვის ზრუნავენ მასზე, რა თქმა უნდა, აკადემიური ბერკეტებით; ხელს უწყობენ მის განვითარებას; ზრუნავენ მასზე, რომ ჰქონდეს მეტი ცოდნა; ზრუნავენ მასზე, რომ იყოს უფრო განათლებული; ზრუნავენ მასზე, რომ შემდეგ, როდესაც დაამთავრებს უნივერსიტეტს და შრომის ბაზარზე გავა, ის იყოს კონკურენტუნარიანი; ზრუნავენ, რომ აღმოაჩინონ მასში დამალული უნარები, რომლებიც შეიძლება თავადაც არ დაუნახავს ჯერ, თუ რამე უნარი აქვს, რომელიც საკუთარ თავში მოსწონს, ყველამ დაინახოს. მქონია შემთხვევა, როდესაც თავად სტუდენტები მეუბნებიან, რომ უნივერსიტეტში მიხვდა, რა შეძლებია და აი, აქ დაინახა საკუთარი რეალური პიროვნება, აქ აღმოაჩინა რაღაც ახალი. ასევე, გვქონია შემთხვევები, როდესაც მშობლები მადლობას გვეუბნებიან – რა კარგია, რომ თქვენ დაიფასეთ ჩემი შვილის უნარ-ჩვევები. ერთი სიტყვით, ერთმანეთის ზრუნვა, რომელიც რაიმე ანგარებას კი არა, ემყარება სიყვარულს, რომელიც რეალურად ემყარება გულწრფელობას, არის პირველი, რაც ჩემთვის ძალიან ოჯახური და საუნივერსიტეტო გარემოს საოცარი ერთიანობაა. და მეორე, რატომ არის მსგავსი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ოჯახი. უნივერსიტეტს აქვს ერთი საოცარი უნარი – როდესაც აქ ფეხს შემოდგამ და შენი ოჯახი ხდება, აქ ყველას ერთნაირი შესაძლებლობა აქვს და ყველა თანასწორია. თუკი რაიმე ხდებოდა ისე, რომ აქამდე რაღაც მცირე დანაკლისი მაინც არსებობდა ახალგაზრდის ცხოვრებაში, უნივერსიტეტმა ეს უნდა შეავსოს. თანაბარხელმისაწვდომობა უმნიშვნელოვანესია. როგორც ოჯახი, უნივერსიტეტიც ის სივრცეა, რომელიც ორიენტირებულია ოჯახის თითოეული წევრის წარმატებაზე.

– დასასრულისთვის, მიმართეთ სტუდენტებს, რომლებსაც წინ აქვთ შრომატევადი და არც თუ ისე მარტივი სასწავლო წელი.

– დიახ, ჩვენი მთელი საუნივერსიტეტო არმია, რომელიც ახალციხის კორპუსებშია, ვართ ერთად, ვართ მჭიდროდ. ყველა შემთხვევაში ჩვენ უნდა წარვმართოთ აქტიური სასწავლო პროცესი. ჩატარდება შუალედური და ფინალური გამოცდები, სემინარები, ლექციები. პირიქით, მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ ასე ახლოს მთელი საუნივერსიტეტო სზოგადოება ერთმანეთთან არ ყოფილა. სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტებმა აღმოაჩინეს, რომ დამამთავრებელ კურსზე ყოფნისასაც კი უმრავ მათ თანატოლს არ იცნობდნენ, რადგან ერთ კორპუსში არ სწავლობდნენ. კარგიც კი აღმოჩნდა ეს რეალობა. სადაც და როგორც უნდა ვიყოთ, სასწავლო პროცესი თავისას მოითხოვს და ეს მოთხოვნები უნდა დავაკმაყოფილოთ.

არც თუ მარტივი რეალობაა ჩვენ ირგვლივ და ვხედვთ, რომ ომები და დაძაბული გეოპოლიტიკური ვითარება ცხადზე ცხადია, მაგრამ მინდა გავამხნევო ახალგაზრდები და ვუთხრა, რომ სანამ არჩეული გვაქვს მშვიდობა და ვფიქრობთ, რომ მშვიდობა არის მთავარი, ყველაფერი რიგზე იქნება, რადგან დაცულია ჩვენი ახალგაზრდების სიცოცხლის უფლება. ჰოდა, სანამ ცოცხლები ვართ, უნდა გამოვიყენოთ ეს უნიკალური შანსი განათლებისთვის. სანამ სტუდენტის სტატუსი გაქვთ, უნდა გახდეთ კიდევ უფრო ძლიერები.

ძვირფასო სტუდენტებო, გისურვებთ წარმატებულ სასწავლო წელს. მინდა დავაანონსო თქვენთან ერთად, რომ 2025 წელს, როგორც უნივერსიტეტის საიუბილეო წელს, იუბილეს აღნიშვნით დავასრულებთ და ყველა სტუდენტს წლის ბოლოს ვეპატიჟები უნივერსიტეტის იუბილეზე. ერთად ვიზეიმოთ უნივერსიტეტის არსებობის 35 წარმატებული წელი!

– ძალიან დიდი მადლობა, ქალბატონო მაკა, გულწრფელი და საინტერესო პასუხებისთვის.

– დიდი მადლობა.

ინტერვიუერი
რიმა სუდაძე

დიალოგი ახალგაზრდობასთან

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს, 8 ოქტომბერს, სახელმწიფო რწმუნებული **ზაალ გელაშვილი** ესტუმრა. მან სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ბატონი ირაკლი კობახიძის მილოცვა გადასცა.

შეხვედრას ესწრებოდნენ უნივერსიტეტის სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები და სამხარეო ადმინისტრაციის თანამშრომლები.

უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **მაკა ბერიძემ** სტუმარს გააცნო უნივერსიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამები და სამომავლო გეგმები.

მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ დღევანდელი შეხვედრა იმართება სახელმწიფო რწმუნებულის ინიციატივით. ბატონმა ზაალმა გამოთქვა სურვილი, მოსულიყო ჩვენს უნივერსიტეტში, მიელოცა ახალი სასწავლო წლის დაწყება სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის. ამისთვის გულწრფელ მადლობას ვუხდი.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი რეგიონული საგანმანათლებლო ცენტრის როლს ასრულებს. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მჭიდრო ურთიერთობები სამხარეო ადმინისტრაციასთან, მუნიციპალიტეტებსა და ადგილობრივ ხელისუფლებასთან. სწორედ ამ თანამშრომლობით ვაძლიერებთ განათლების ხარისხს და ხელს ვუწყობთ ახალგაზრდების პროფესიულ განვითარებას. – განაცხადა რექტორმა.

სახელმწიფო რწმუნებულმა სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ განათლება ქვეყნის განვითარების მთავარი საფუძველია და ახალგაზრდების განათლებაში ინვესტიცია – სახელმწიფოს სტრატეგიული მიმართულება: **მინდა მივულოცო უნივერსიტეტს ახალი სასწავლო წლის დაწყება, განსაკუთრებით პირველკურსელებს, რომლებიც ცხოვრების ახალ ეტაპზე გადადიან. ვულოცავ ყველა სტუდენტს და განსაკუთრებით დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს, რომელთათვისაც ეს სასწავლო წელი უნივერსიტეტში ბოლოა. მომავალი წლიდან ისინი ახალ გზას დაადგებიან – ჩაებმებიან ჩვენი ქვეყნისა და რეგიონის განვითარების ფერხულში, სადაც დახვდებათ ახალი გამოწვევები და შესაძლებლობები. დარწმუნებული ვარ, რომ მათ მიერ შეძენილი ცოდნა და ენერგია სწორედ ამ უნიკალური რეგიონის – სამცხე-ჯავახეთის განვითარებას მოემსახურება. ჩვენი რეგიონი საჭიროებს განათლებულ, კვალიფიციურ კადრებს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში და ამ საქმეში ახალგაზრდების წვლილი ძალიან მნიშვნელოვანია.** – განაცხადა ზაალ გელაშვილმა.

სახელმწიფო რწმუნებულის თქმით, მთავრობა განაგრძობს

განათლების სისტემის გაუმჯობესებაზე ზრუნვას: **განათლება არის პროგრესის საფუძველი. საქართველოს მთავრობა ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ სწავლა იყოს ხარისხიანი და ყველასთვის ხელმისაწვდომი. დიდი ყურადღება ექცევა უნივერსიტეტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერებასა და პროფესორ-მასწავლებელთა სოციალურ მხარდაჭერას. ქვეყნის მთავარი სიმდიდრე ახალგაზრდობაა – სწორედ ისინი ქმნიან საქართველოს მომავალს.**– აღნიშნა რწმუნებულმა.

შეხვედრაზე რექტორმა ისაუბრა იმ პროექტებზე, რომლებიც უნივერსიტეტში მთავრობის მხარდაჭერით ხორციელდება. მათ შორისაა პირველი სასწავლო კორპუსის სახურავის გამოცვლა და ვეტერინარიის მიმართულებით ახალი ინვენტარის შეძენა, რაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სწავლების ხარისხს.

ჩვენი მთავარი მიზანია, დავანახოთ, რომ სამცხე-ჯავახეთის ახალგაზრდები რეგიონს სჭირდებიან. სწორედ ისინი არიან ის ძალა, რომელიც მომავალში განსაზღვრავს რეგიონის განვითარებას. – აღნიშნა მაკა ბერიძემ.

შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, პროფესორი **მერაბ ბერიძე.** მან მადლობა გადაუხადა სახელმწიფო რწმუნებულს ვიზიტისთვის და საჩუქრად გადასცა საკუთარი ავტორობით გამოცემული ორტომეული – **„მესხეთის ტოპონიმია“.**

მნიშვნელოვანი დღეა დღეს. მე, პირადად, გავხდი მოწმე იმისა, როგორ ყალიბდებოდა სახელმწიფო რწმუნებულის ინსტიტუტი და როგორ ვითარდებოდა ურთიერთობები ჩვენს უნივერსიტეტსა და სამხარეო ადმინისტრაციას შორის. სწორედ ამ ურთიერთობამ განაპირობა რეგიონის საგანმანათლებლო და საზოგადოებრივი ცხოვრების განმტკიცება. – აღნიშნა მერაბ ბერიძემ.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. სტუდენტებს ჰქონდათ შესაძლებლობა, გაეზიარებინათ საკუთარი მოსაზრებები და მიეღოთ პასუხები მათთვის აქტუალურ საკითხებზე. რექტორმა აღნიშნა, რომ მსგავსი შეხვედრები მომავალშიც გაგრძელდება, რათა გაძლიერდეს სტუდენტებისა და სამხარეო ადმინისტრაციის თანამშრომლობა.

ვიზიტის ფარგლებში ზაალ გელაშვილმა დაათვალიერა უნივერსიტეტის ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამის კაბინეტ-ლაბორატორია, რომელიც უახლესი ტექნიკითა და ინვენტარითაა აღჭურვილი.

ლიკა ზაზაშვილი

„მეცნიერების ფესტივალი – 2025“

35 წელი განათლების, კვლევისა და რეგიონული განვითარების სამსახურში

პირველი გვერდიდან

ფესტივალი ახალციხის ციხის ტერიტორიაზე ჩატარდა და მრავალფეროვან ღონისძიებას მოიცავდა. სტუმართა რაოდენობაც მასშტაბური გახლდათ. ღონისძიებას დაესწრნენ როგორც ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, ასევე, სასულიერო წრის წარმომადგენლები, რეგიონის ხუთივე მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორები, პედაგოგები და მოსწავლეები, რესურსცენტრების ხელმძღვანელები, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, მათი მშობლები და, ზოგადად, რეგიონის ფართო საზოგადოება.

ფესტივალის სივრცე წარმოდგენილი იყო თემატური სამეცნიერო კარვების სახით, სადაც დამთვალიერებლებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ უნივერსიტეტის აკადემიურ და პრაქტიკულ მიღწევებს სხვადასხვა სფეროში. შემეცნებითი კომპონენტის ფარგლებში გაიმართა ვიქტორინა, რომელშიც აქტიურად ჩაერთვნენ სკოლის მოსწავლეები. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ სერტიფიკატებითა და სამახსოვრო საჩუქრებით, რაც მოსწავლეებში მოტივაციის გაძლიერებასა და სამეცნიერო ინტერესის სტიმულირებას ისახავდა მიზნად.

სამეცნიერო ფესტივალი გაიხსნა საინფორმაციო დღით, რომელიც გაიმართა **„ჰორიზონტი ევროპა“**-ს ეროვნული ოფისის ხელმძღვანელის **ლევან ხეცურიანის,** საკონტაქტო პირების – **შორენა ქუთელიას, თამარ ბერბერაშვილის** ჩართულობით და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში კოორდინატორის **მერი სახამბერიძის** ორგანიზებით. მასში მონაწილეობა მიიღო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მეცნიერების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა **ქეთევან ქოქრაშვილმა.** ERA-ს მიმართულების 2025 წლის კონკურსების შესახებ ისაუბრა მონაწილეობის გაფართოებისა და ევროპული კვლევითი სივრცის გაძლიერების ეროვნულმა საკონტაქტო პირმა, ქალბატონმა **ნინო როდონაიამ.** ღონისძიება ახალციხის ციხის ციტადელზე შედგა; ესწრებოდნენ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები. „ჰორიზონტი ევროპა“-ს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგრანტო ოფისის საქმიანობასა და საგრანტო კონკურსებში აქტიური ჩართულობისთვის, მოწვეულ პედაგოგს **ნანა ზუბაშვილს** მადლობის სიგელი გადაეცა.

ღონისძიებამ შემდეგ ახალციხის ციხის ღია სივრცეში გადაინაცვლა. უნივერსიტეტის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილისა და მხარდაჭერისთვის, უნივერსიტეტის მედლით დაჯილდოვდნენ: განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი **გივი მიქანაძე** და სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი, მაღალყოვლადუსამღვდელოესი, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტი, უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი **მეუფე თეოდორე.**

საქართველოს პარლამენტის წევრის **ანტონ ობოლაშვილის** ინიციატივით, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებისა და განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წარედგინა წინადადება პროფესორ **მერაბ ბერიძის** სახელმწიფო დონეზე ღირსეული დაფასების შესახებ.

ღონისძიების მიმდინარეობისას განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და რეგიონის ინსტიტუციურ სტრუქტურებს – სამხარეო ადმინისტრაციასა და მუნიციპალიტეტებს შორის პარტნიორული ურთიერთობების მნიშვნელობაზე. აღნიშნული თანამშრომლობა ხორციელდება სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის: ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზებით, ახალგაზრდული ინიციატივებისა და საგანმანათლებლო პროექტების ხელშეწყობით, კულტურული ღონისძიებების მხარდაჭერით, ადგილობრივი თვითმმართველობის სტიპენდიების გაცემითა და სხვა სახით.

უნივერსიტეტმა საზეიმო ვითარებაში გააცილა ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამის პირველი კურსდამთავრებულები, რომლებსაც გადაეცათ სერტიფიკატები. სპეციალური სერტიფიკატით დაჯილდოვდა ამავე სპეციალობის პირველი კურსის სტუდენტი **ლუკა ბოჩიკაშვილი,** რომელმაც „სტუდენტური ფესტივალი 2025“-ის მკლავჭიდის შეჯიბრში ხუთი ოქროს მედალი მოიპოვა.

საიუბილეო ღონისძიების კულტურულ პროგრამაში მონაწილეობდნენ: ქორეოგრაფიული ანსამბლი **„მესხეთის უნივერსიტეტი“** (ხელმძღვანელები **ლია** და **სამსონ მენაბდიშვილები**), ფოკის საჯარო სკოლასთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი **„ფოკის სხივები“** (ხელმძღვანელი **ოთარ ხეცურიანი**), ახალქალაქის ქართული ხალხური ცეკვების ქორეოგრაფიული ანსამბლი **„მურჯი“** (ხელმძღვანელი **გიორგი მეტრეველი**), უნივერსიტეტის სტუდენტი **მარიამ საანიშვილი** სიმღერით „ალილუია,“ ასპინძის მუნიციპალიტეტის ანსამბლ **„ვარძიის“** ხელმძღვანელი, ასევე, ივერიის სკოლასთან არსებული ბავშვთა მუსიკალური ანსამბლის **„ივერიის“** ხელმძღვანელი, კომპოზიტორი **ნუკრი ღორჯომელაძე** სიმღერით „მესხეთი მღერის“, რომლის ტექსტის ავტორი უნივერსიტეტის პროფესორი ბატონი **მერაბ ბერიძე** გახლდათ.

ღონისძიების დასასრულს აღინიშნა, რომ 2025 წელს უნივერსიტეტი ახალ ინფრასტრუქტურულ და აკადემიურ შესაძლებლობებს მიიღებს.

განსაკუთრებულ მადლიერებას გამოვხატავთ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მისამართით. 600 000 ლარზე მეტით დაფინანსდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი და 2026 წელს, პირველი სასწავლო კორპუსი ახალი სიცოცხლით შეხვდება. მინისტრმა თქვა სიტყვა, რომ ვეტერინარიას მხარდაჭერა სჭირდებაო და მალე, ჩვენ, ვეტერინარიისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით ახალი ლაბორატორიებით შევხვდებით და მადლობა ამისთვის სამინისტროს. – აღნიშნა უნივერსიტეტის რექტორმა **მაკა ბერიძემ.**

ღონისძიებას, რექტორთან ერთად, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის სპეციალობის მეორე კურსის სტუდენტი **თათია მსხვილიძე** გაუძღვა: **მოგესალმებით, ძვირფასო სტუმრებო. ჩემთვის, როგორც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტისთვის, დიდი პატივია დღეს ამ ღონისძიებაზე ყოფნა. მინდა ეს დღე – მეცნიერების ფესტივალის ფარგლებში უნივერსიტეტის 35-ე საიუბილეო სასწავლო წლის გახსნა, განსაკუთრებით პირველკურსელებს მივულოცო, რადგან ახალი ფურცელი იშლება მათ ცხოვრებაში. პირველკურსელებო, მჯერა, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაგეხმარებათ თქვენი მიზნებისა და ჩანაფიქრების ასრულებაში. გახსოვდეთ, წარმატება თავისით არ მოდის, მასთან თქვენ თვითონ უნდა მიხვიდეთ. გისურვებთ, შრომა, შრომა და კვლავ შრომა გეწეროთ მთავარ მისწრაფებად. მერწმუნეთ, თუ ასე იქნება, წარმატება გარდუვალია.**

„მეცნიერების ფესტივალი – 2025“ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის არა მხოლოდ იუბილეს აღნიშვნა, არამედ იმ მისიის გამოხატულებაც იყო, რომელიც ცოდნის გავრცელებასთან, მეცნიერების პოპულარიზაციასთან და ახალგაზრდების გაძლიერებასთან არის დაკავშირებული. ფესტივალმა სტუდენტებსა და სკოლის მოსწავლეებს მისცა შესაძლებლობა, უკეთ გაეაზრებინათ მეცნიერების პრაქტიკული მნიშვნელობა.

ფესტივალმა კიდევ ერთხელ დაადასტურა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წამყვანი როლი რეგიონულ საგანმანათლებლო და კულტურულ სივრცეში.

გთავაზობთ ფესტივალის მონაწილეთა წარმოთქმულ სიტყვებს

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი მაკა ბერიძე

(სიტყვა წეარმოთქმული „ჰორიზონტი ევროპა“-ს ეროვნული ოფისის ღონისძიებაზე):

ქალბატონებო და ბატონებო, მოგესალმებით. განსაკუთრებით მივესალმები ჩამობრძანებულ სტუმრებს, რომლებიც გახლავთ „ჰორიზონტი ევროპა“-ს ეროვნული ოფისის წარმომადგენლობა, მათი ხელმძღვანელის თაოსნობით. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს კარგად აქვს გაცნობიერებული, რას ნიშნავს ქართველ მკვლევართა ინტეგრაცია ევროპულ სივრცეში. ეს უნივერსიტეტის მისიაში გვაქვს აღწერილი და, ამავე დროს, ისეთი სამეცნიერო კვლევების წარმოება, რომელიც ერთდროულად ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას და, ჩვენი ქვეყნის საჭიროებებიდან გამომდინარე, სამეცნიერო პროდუქტის შექმნას გულისხმობს, ჩვენი უნივერსიტეტის სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია. სწორედ ამიტომ, ეს კარგად რომ გვაქვს გაცნობიერებული, მეცნიერების კვირეულის ფარგლებში, ცალკე დავგეგმეთ „ჰორიზონტი ევროპა“-ს ეროვნულ ოფისთან შეხვედრა. მინდა, კიდევ ერთხელ დავაფიქსირო, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, ქართული კვლევები და ჩვენი მკვლევრები საეთაშორისო მასშტაბით იყოს ცნობილი. კარგად ვგრძნობთ და ვხედავთ „ჰორიზონტი ევროპა“-ს მნიშვნელობას. ის, რომ დღეს, ოფისის ხელმძღვანელი, ბატონი ლევანი თავად ჩამობრძანდა ჩვენს უნივერსიტეტში, ვიღებთ, როგორც უნივერსიტეტისადმი დამოკიდებულებას და ვაფასებთ ამ დამოკიდებულებას მის არაჩვეულებრივ გუნდთან ერთად.

„ჰორიზონტი ევროპა“-ს ეროვნული ოფისის ხელმძღვანელი ლევან ხეცურიანი:

მადლობა მობრძანებისთვის, მადლობა იმისთვის, რომ „სამეცნიერო ფესტივალის“ ფარგლებში ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტად „ჰორიზონტი ევროპა“-ს საქართველოს ეროვნული ოფისი ჩართეთ, მადლობა მასპინძლობისთვის. ვეცდები, გაგაცნოთ ის ინფორმაცია, თუ რას შეეხება „ჰორიზონტი ევროპა“-ს საქმიანობა, რა ორგანიზაციაა, რა სტრუქტურებისგან შედგება და რა პროექტები ხორციელდება ამ ეტაპზე. „ჰორიზონტი ევროპა“-ს ყოველწლიურად უწევს პარლამენტში მოხსენების გაკეთება, ასევე, მეცნიერებათა აკადემიაში. ამ მოხსენებებში ყურადღება ორ მთავარ რამეზეა გამახვილებული. ერთი, რომ მეცნიერებათა აკადემია მაქსიმალურად იყოს ჩართული „ჰორიზონტი ევროპა“-ს მიერ განხორციელებულ პროცესებში და მეორე – რეგიონის უნივერსიტეტები აქტიურად ჩანდნენ, თუ რას აკეთებენ, როგორ არიან ოფისის მუშაობაში ჩართულნი, წინსვლა რაშია, დინამიკა რაშია. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ჰორიზონტი ევროპა“-ს წარმომადგენელი – მერი სახამბერიძე, ძალიან აქტიურად არის ჩართული ყველა საქმიანობაში. ვცდილობთ, უფრო გავაძლიეროთ ადგილობრივი ოფისები ჩვენი და განათლე-

→

ბის, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დახმარებით. ამიტომ, რეგიონული ოფისების განვითარების სტატისტიკას უყურებს ბევრი ადამიანი. გისურვებთ წარმატებებს და კიდევ ერთხელ მოგახსენებთ მადლობას მოწვევისთვის.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი მაკა ბერიძე (სიტყვა წარმოთქმული ახალციხის ციხის ღია სივრცეში):

მთელი საქართველო, საქართველოს საუნივერსიტეტო სამეცნიერო საზოგადოება, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ ორგანიზებული სამეცნიერო ფესტივალის დღეებით ცხოვრობს. დღეს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სწორედ, „მეცნიერების ფესტივალი – 2025“– ს ახალციხეში, თქვენთან ერთად მასპინძლობს.

გამორჩეულია „მეცნიერების ფესტივალი – 2025“ ჩვენი უნივერსიტეტისთვის, გამორჩეულია, რადგან უნივერსიტეტი, ამ ფესტივალის ფარგლებში, აღნიშნავს თავის 35 წლის იუბილეს. გილოცავთ უნივერსიტეტის იუბილეს. გამორჩეულია კიდევ იმიტომ, რომ 35-ე საიუბილეო წლის გახსნას თავად განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი, ბატონი გივი მიქანაძე ესწრება, ასევე, მისი მოადგილე, სამინისტროს წარმომადგენლები ჩვენთან ერთად აღნიშნავენ უნივერსიტეტის იუბილეს. ჩვენ ბევრი გვაქვს სათქმელი იმ თანადგომაზე, იმ ურთიერთობაზე, რაც უნივერსიტეტსა და სამინისტროს შორის 35 წლის განმავლობაში ყალიბდებოდა და დღეს, განსაკუთრებით აქტიური და წარმატებული სახე მიიღო. მინდა, დიდი პატივისცემით მოვიწვიო მისასალმებლად საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი, ბატონი გივი მიქანაძე.

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი გივი მიქანაძე:

მოგესალმებით. მიხარია, რომ დღეს, საქართველოს ძირძველ კუთხეში, სამცხე-ჯავახეთში, მის შუაგულში – ახალციხეში ვიმყოფები და თქვენთან ერთად, ამ ღირსშესანიშნავ დღეს ვზეიმობ. პირველ რიგში, მინდა, მივესალმო ახალციხისა და ტაოკლარჯეთის მიტროპოლიტს მეუფე თეოდორეს, მინდა მივესალმო საქართველოს პარლამენტის წევრს რეგიონიდან და ამ მხარის უდიდეს ქომაგს, ბატონ ანტონ ობოლაშვილს, მხარის სახელმწიფო რწმუნებულს, გუბერნატორს ბატონ ზაალ გელაშვილს, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, ჩემი გუნდის წარმომადგენლებს და, რა თქმა უნდა, განსაკუთრებით მინდა მივესალმო სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს და მის უდიდეს გუნდს, რომელთა ძალიან დიდ ზეიმს დღეს ერთად აღვნიშნავთ.

ვიღაცამ შეიძლება თქვას, რომ 35 წელი არ არის დიდი დრო, მაგრამ თუკი დავფიქრდებით, გამოდის, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და საქართველომ, როგორც დამოუკიდებელმა სახელმწიფომ, ერთად გაიარა ეს 35 წელი და ამ გზაზე უამრავი გამოწვევა, უამრავი სიძნელე იყო. მაგრამ დღეს ყველანი ვართ ერთად. ამ ერთიანობას სხვადასხვა რამ აერთიანებს, მაგრამ მათგან მთავარი სამი ღირებულებაა: ეს არის მამული, ენა და სარწმუნოება. სწორედ, ამ ყველაფრის მქადაგებელი არის საგანმანათლებლო სისტემა, რომელიც იწყება სკოლამდელი აღზრდის ასაკიდან, გრძელდება სკოლით და გადადის იმ დასკვნით ეტაპზე, სანამ კარიერულ წინსვლას დავიწყებთ, ეს არის საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო სივრცე.

სამცხე-ჯავახეთი ყოველთვის იყო საქართველოს კარიბჭე და ეს ყველასთვის ცნობილია. ეს არის ის მხარე, საიდანაც საქართველოს, როგორც ერთიანი სახელმწიფოს ფორმირება ისტორიულად დაიწყო. ამიტომ, უდიდესია ამ მხარის ამაგი საქართველოს ერთიანობაში, საქართველოს სახელმწიფოებრიობაში. ამ მხარემ არაერთი გამორჩეული შვილი აჩუქა საუკუნეების მანძილზე ჩვენს ქვეყანას – ღირსეული ადამიანები, რომელთა შემოქმედებით ჩვენ ვამაყობთ არა მხოლოდ საქართველოს, არამედ, მსოფლიოს მასშტაბით, ადამიანები, რომელთა საგმირო საქმეებმა დღემდე მოიყვანა ეს ქვეყანა და ღირსეულად აგძელებს წინსვლას. ყველაფერთან ერთად, გამორჩეულია ის უდიდესი ღვაწლი და ამაგი, რომელიც ამ 35 წლის განმავლობაში, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის თითოეულ პროფესორ-მასწავლებელს, თითოეულ თანამშრომელს მიუძღვის ჩვენი ქვეყნისა და საზოგადოების წინაშე. ეს არ არის მხოლოდ ერთი კონკრეტული უნივერსიტეტი, ეს არის ცოდნის კერა, ეს არის ადგილი, სადაც კიდევ უფრო ძლიერდება ჩვენი ქვეყანა, კიდევ უფრო მეტ ძალას იკრებს და კიდევ უფრო მეტად მიდის წინსვლით იმ წარმატებებისკენ, რომელსაც ჩვენი ქვეყანა და მისი შვილები იმსახურებენ. ამიტომ, მე დღეს ვარ ამაყი და ვარ მადლიერი უფლის, რომ მომეცა საშუალება პირადად მომელოცა 35 წლის იუბილე და სასწავლო წლის დაწყება სამცხე-ჯავახეთის სახელწმიფო უნივერსიტეტისათვის.

მინდა ვთქვა, რომ ეს უნივერსიტეტი, თავისი დანიშნულებით, უდიდეს პოლიტიკურ როლს ასრულებს რეგიონში, სადაც ჩვენ თანამოძმეებთან, თანამოქალაქეებთან ერთად, ძირითადად, სომხური ეთნოსის წარმომადგენლებთან ერთად, ჩვენ ამ რეგიონს ვაძლიერებთ და ვაშენებთ ერთიან ქვეყანას. სწორედ, ამ უნივერსიტეტის მესამე და მეოთხე კორპუსი, რომელიც განთავსებულია ახალქალაქში, უდიდეს როლს ასრულებს ამ მიმართულებით. განსაკუთრებით, გამოვყოფდი ფილოლოგიის სპეციალობას, სადაც პირადად შევხვდი არაერთ არაჩვეულებრივ ახალგაზრდას, რომლებიც ქართულ ენას ჩემზე ბევრად უკეთესად ფლობენ და, უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე, სკოლებში და საბავშვო ბაღებში იწყებენ მუშაობას იმისთვის, რომ უფრო გააძლიერონ სახელმწიფო ენის ცნობიერება და ცოდნა ჩვენს თანამოქალაქე აღსაზრდელ პატარებში. ეს არის სამშობლოს სიყვარული, ეს არის ქვეყნის წინაშე უდიდესი პატრიოტიზმი, ეს არის გამოხატულება იმ მთავარი არსისა, რასაც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ემსახურება.

ამ წლების განმავლობაში, უნივერსიტეტმა ბევრ წნეხს გაუძლო, ბევრჯერ მდგარა ყოფნა-არყოფნის წინაშე, მაგრამ ღირსეულად უთქვამს თავისი სიტყვა და დღემდე ასე ამაყად მოუტანია თავი და არაერთი ღირსეული თაობა აღუზრდია არამარტო ამ რეგიონისთვის, არამედ, მთლიანად საქართველოსთვის. უფრო მეტიც, ამ უნივერსიტეტმა დამსახურებულად შეძლო და თავისი სახელი გაიტანა საერთაშორისო ასპარეზზე. მარტო ის რად ღირს, რომ დღეს, ამერიკის შეერთებული შტატების კოსმოსური ცენტრის ნასას წარმომადგენლები პირდაპირ თანამშრომლობენ ამ უნივერსიტეტთან; შექმნილია სპეციალური მიმართულება, სადაც ტარდება კვლევები,რომელსაც ნასა აღიარებს და სარგებლობს კიდეც. ეს არის ამ უნივერსიტეტის, პროფესორ-მასწავლებლებისა და, მთლიანად, ჩვენი ქვეყნის სიამაყე და აღიარება.

უამარავი სხვა მიმართულებაა, რომელიც ამ უნივერსიტეტს აქვს და ღირსეულ თაობებს უზრდის ჩენს ქვეყანას. ამიტომ, მე გულით გილოცავთ დღევანდელ დღეს. ეს მოსალოცია არა მარტო ამ უნივერსიტეტის მიმართ, ეს მოსალოცია ჩვენი ქვეყნისა და ხალხის მიმართ, რადგან რაც უფრო ძლიერი იქნება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მით უფრო ძლიერი იქნება ჩვენი ქვეყანა, რადგან ის არის სამჭედლო იმ თაობების, რომლებმაც ხვალ ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობა უნდა აიღონ, გადაიბარონ სადავეები თავის ხელში და ამ ქვეყანას კიდევ უფრო უკეთესად უნდა წარუძღვნენ მშვიდობით, კეთილდღეობით, წინსვლითა და ღირ-

გაგრძელება მე-8 გვ.

„მეცნიერების ფესტივალი – 2025“

35 წელი განათლების, კვლევისა და რეგიონული განვითარების სამსახურში

მე-7 გვერდიდან

სებით. ამიტომ, გილოცავთ დღევანდელ დღეს. ბევრ წარმატებას გისურვებთ და იცოდეთ, რომ თითოეული თქვენი წარმატება არის ამ ქვეყნისა და ჩვენი ხალხის წარმატება, თითოეული თქვენი წინგადადგმული ნაბიჯი არის ამ ქვეყნის მომავლისკენ წინგადადგმული ნაბიჯი, თითოეული თქვენგან წამოსული ინიციატივა არის მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის სიყვარულით, პატრიოტიზმით და ქვეყნის კეთილდღეობით გამსჭვალული. ამიტომ, ყველა ამ ინიციატივას, ჩვენი მხრიდან, მხარდაჭერა ექნება.

საქართველოს კათალიკოს პატრიარქის ქორეპისკოპოსი, მაღალყოვლადუსამღვდელოესი, ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტი მეუფე თეოდორე:

ქრისტეს მიერ საყვარელო ძმანო და დანო, მინდა მოგესალმოთ ყველას. მინდა განსაკუთრებით მივესალმო საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრს, ჩვენი რეგიონის მმართველობას, პარლამენტში ჩვენი კუთხის წარმომადგენელს. განსაკუთრებით მინდა მივესალმო სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს, მის რექტორს, პედაგოგებს, სტუდენტებს. მინდა მადლობა გითხრათ თითოეულ თქვენგანს იმ დიდი საქმისთვის, რასაც თქვენ აკეთებთ. 35 წელი დიდი დროა. როგორც სასულიერო პირი, მე 1989 წელს ჩამოვედი ახალციხეში, საფარის სემინარიაში, რომელიც 1990 წელს გაიხსნა. ამავე წელს ახალციხეში გაიხსნა უნივერსიტეტი. ჩვენ ერთობლივად შევძელით როგორც საერო, ისე სასულიერო კუთხით გაგვეძლიერებინა ერთმანეთი და ასე მივსულიყავით ახალგაზრდებთან, დაგვეწყო სწავლება არა მარტო მეცნიერების, არამედ ცხოვრებისა, არა ღვთის გარეშე, არამედ ღმერთთან ერთად. მინდა დიდი მადლობა ვუთხრა ამ უნივერსიტეტს, ბატონ მერაბ ბერიძეს, რომელიც არის დამაარსებელი ამ უნივერსიტეტის, რომელმაც შესანიშნავად გაართვა თავი იმ ურთულეს პერიოდში, ურთულეს 90-იან წლებში უნივერსიტეტის განვითარების საქმეს. იმ დროს ბევრი უნივერსიტეტი გაიხსნა, მაგრამ ბევრმა ვერ მოაღწია დღევანდელობამდე. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის ერთ-ერთი, რომელმაც არათუ მოაღწია, არამედ შესანიშნავად განვითარდა და დღეს, ქალბატონი მაკა წარმატებით უძღვება ამ უნივერსიტეტს. მინდა დაგლოცოთ ყველა, შევთხოვო უფალს, რომ ჩვენ ერთად გავაგრძელოთ ის სწავლა, ის აღზრდა, როგორიც ეკადრება ჩვენს ქვეყანას და ჩვენს ერს. დიდი მადლობა ყველას დღევანდელი დღისთვის.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე ზვიად გაბისონია:

მოგესალმებით ყველას. გვიხარია, რომ თქვენთან ვართ. ჩვენ ვამაყობთ თქვენით. მინდა მოგილოცოთ იუბილე და გისურვოთ წარმატებები. მინდა იცოდეთ, რომ ეს უნივერსიტეტი გაცილებით მეტია საქართველოსთვის, ვიდრე სახელმწიფო უნივერსიტეტი, რადგან თქვენ ხართ ციტადელი, რომელიც ამაგრებს ქართულ სულს, ქართულ სახელმწიფოს და ამისათვის დიდი მადლობა მინდა გითხრათ.

დღეს, გარდა იმისა, რომ იუბილეს ვდღესასწაულობთ, არის მეცნიერების ფესტივალი. ახალციხის ციხე არის რიგით მესამე ლოკაცია, სადაც იმართება აღნიშნული ფესტივალი. მინდა იცოდეთ, რომ ნებისმიერი გამოწვევის დროს თქვენ გვერდით ვართ. გილოცავთ იუბილეს.

საქართველოს პარლამენტის წევრი ანტონ ობოლაშვილი:

მოგესალმებით, ბატონებო და ქალბატონებო. მივესალმები საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრს, ბატონ გივი მიქანაძეს, მინისტრის მოადგილეს, ბატონ ზვიად გაბისონიას, განსაკუთრებული სიყვარულით ჩვენს მეუფე თეოდორეს მინდა მივესალმო, მხარის რწმუნებულს, ბატონ ზაალ გელაშვილს, ქალბატონო მაკა, თქვენ მოგესალმებით როგორც სახელოვანი უნივერსიტეტის რექტორს და განსაკუთრებული სიყვარულით მინდა მივესალმო უნივერსიტეტის პირველ რექტორს, ბატონ მერაბ ბერიძეს, უნივერსიტეტის დამაარსებელს.

ბატონო მინისტრო, უღრმესი მადლობა იმისთვის, რომ „სამეცნიერო ფესტივალი – 2025“ ტარდება და ერთ-ერთ ლოკაციად შერჩეულია სამცხე-ჯავახეთი, ქალაქი ახალციხე. ჩვენ ვიმყოფებით ქალაქში, რომელიც არის ერთ-ერთი უძველესი ქალაქი, რომელსაც ყოველთვის უმნიშვნელოვანესი წვლილი შეჰქონდა ჩვენი ქვეყნის ცოდნის, განათლების, კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ მიწაზე, ამ ქალაქში ყოველთვის ფასობდა ცოდნა, განათლება და სწორედ, რომ ჩვენი უნივერსიტეტი არის ღირსეული გაგრძელება ამ საუკუნოვანი ტრადიციების.

ჩვენ დღეს ვზეიმობთ არა მხოლოდ უნივერსიტეტის, როგორც დაწესებულების იუბილეს, არამედ ვზეიმობთ სულიერი საგანმანათლებლო მისიის აღსრულებას, რომელიც ამ მხარეში, ამ მიწაზე ერთგვარ ტრადიციად არის ქცეული. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა თაობები აღზარდა, მეც მივეკუთვნები ერთ-ერთ თაობას. უნივერსიტეტმა ჩამოაყალიბა აკადემიური გარემო, ჩვენს ქვეყანას აჩუქა კადრები აქ მიღებული განათლებით, სიყვარულით და სამშობლოს ერთგულებით. ვისურვებდი, რომ კიდევ მრავალი წელი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ემსახურებოდეს ჩვენს ქვეყანას და გააგრძელოს ეს ღირსეული ტრადიცია, გააძლიეროს ჩვენი ქვეყნის რეგიონული განვითარების პოტენციალი, იყოს ჩვენი ქვეყნის კულტურისა და განათლების გამტარი და ჩვენი ახალი თაობისთვის ახალი პერსპექტივების მიმცემი.

ყველაფერი დაიწყო 90-იან წლებში, იმ პერიოდში, როდესაც ქვეყანაში არაფერი არ ხდებოდა, მაგრამ ერთმა მაგარმა მესხმა კაცმა აიღო თავის თავზე ეს ტვირთი და დააარსა უნივერსიტეტი. მან თაობები გადაარჩინა, მოსწყვიტა ქუჩას და მიიყვანა უნივერსიტეტში, მისცა განათლება და ჩვენ ყველანი ამაყები ვართ ამით. ეს ღირსეული დიდი მესხი კაცი გახლავთ ბატონი მერაბ ბერიძე. ბატონო მინისტრო, ჩვენ რამდენიმე დღის წინ აბასთუმანში გვქონდა განათლების კომიტეტთან, თქვენს მოადგილესთან, ბატონ ზვიად გაბისონიასთან ერთად სამუშაო შეხვედრა. ახალი ინიცირების ფარგლებში იყო გმირის დღე და ჩვენ მოვისმინეთ ჩვენი ღირსეული მამულიშვილების მიერ გაკეთებული დიდი საქმეების შესახებ. ვიტყოდი, რომ დღევანდელი დღეც არის ერთი გმირის დღე. ეს გმირი არის ბატონი მერაბ ბერიძე. ბატონო მინისტრო, ჩვენი თხოვნაა, რომ ამას შესაბამისი შეფასება მიეცეს და ღირსეული დამსახურებისთვის კიდევ ერთხელ უღრმესი მადლობა გადავუხადოთ ბატონ მერაბს.

დიდი მადლობა ყველას დღევანდელი დღისთვის. მინდა ვთხოვო ახალგაზრდა თაობას, სტუდენტებს, რომ მეტი დრო გაატარონ უნივერსიტეტის კედლებში და მიღებული განათლება მოახმარონ ჩვენს მხარესა და ჩვენს სამშობლოს.

სამცხე-ჯავახეთის მხარის რწმუნებული ზაალ გელაშვილი:

მივესალმები ახალგაზრდებს, მივესალმები განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრს, ბატონ გივი მიქანაძეს, მივესალმები პარლამენტის წევრს, ამ კუთხის შვილს ბატონ ანტონ ობოლაშვილს, მივესალმები მინისტრის მოადგილეს, მივესალმები მეუფე თეოდორეს, ქალაქის მერს, საკრებულოს თავმჯდომარეს. დიახ, დღეს, აქ, სამცხეში უნდა იმართებოდეს სამეცნიერო ფესტივალი და აქ უნდა იყოს ყველაზე სახელგანთქმული უნივერსიტეტი, რადგან სამცხე-ჯავახეთი არის გმირების წარმოშობის ადგილი, სამცხე-ჯავახეთი არის ნიჭის წარმოშობის ადგილი. მესხი, სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები ადამიანი, განთქმულია თავისი მეცნიერებით, თავისი სიდინჯით, ცოდნითა და ცოდნისაკენ სწრაფვით. რაც შეეხება უნივერსიტეტის 35 წლის იუბილეს, უნივერსიტეტი რეგიონში იწყებს არსებობას 90-იანი წლებიდან. საქართველოში არსებული მოვლენებს თუ გადავხედავთ, ეს იყო მისთვის დიდი გამოწვევა და უნივერსიტეტმა გაუძლო ბევრ სირთულეს, ბატონი მერაბ ბერიძისა და მისი გუნდის წევრებთან ერთად და მოიყვანა დღემდე. დღეს, როდესაც ჩვენი მთავრობა ზრუნავს უნივერსიტეტებზე, სკოლებზე, უნივერსიტეტს მეტი საშუალება აქვს, კიდევ უვრო გაძლიერდეს და კიდევ უფრო განვითარდეს.

მოგილოცავთ დღევანდელ დღეს და გისურვებთ ყოველივე კარგს, წარმატებას და მრავალი ღირსეული თაობის აღზრდას.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი ირაკლი ლაზარაშვილი:

მივესალმები მობრძანებულ სტუმრებს, მეუფე თეოდორეს, ახალგაზრდებს. გილოცავთ სამცხე-ჯავახეთის დაარსების 35 წლის იუბილეს. მინდა, ეს იუბილე მივულოცო ამ უნივერსიტეტის დაარსების მთავარ ინიციატორს, პროფესორ მერაბ ბერიძეს, ამჟამინდელ რექტორს, ქალბატონ მაკა ბერიძეს, პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს და იმ 15 000-ზე მეტ მოქალაქეს, რომლებმაც მიიღეს განათლება ამ უნივერსიტეტში.

აღსანიშნავია უნივერსიტეტის განსაკუთრებული როლი რეგიონის განვითარების საქმეში. მინდა აღვნიშნო ის, რომ სახელმწიფო და მუნიციპალურ სამსახურებში, ასევე, კერძო სექტორში დასაქმებულთა აბსოლუტურ უმრავლესობას სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები წარმოადგენენ. მათ შორის, მეც ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ვარ, რაც დიდი სიამაყის განცდას მმატებს. გილოცავთ იუბილეს და მინდა ბევრი წარმატება ჰქონდეს ჩვენს უნივერსიტეტს და ჩვენს ქვეყანას.

ლიკა ზაზაშვილი

პარტნიორობა, რომელიც განათლებას აძლიერებს

31 ოქტომბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდის დირექტორი **ზურაბ კერვალიშვილი** და ფონდის წარმომადგენელი **მაია ჩიტაშვილი** ესტუმრნენ. ღონისძიება, რომლის ფარგლებში წარდგენილნი იყვნენ ფონდის ახალი სტიპენდიატები, უნივერსიტეტის მეორე სასწავლო კორპუსში გაიმართა. შეხვედრას ესწრებოდნენ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები და სტუდენტები.

ღონისძიება გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა **მაკა ბერიძემ.** მან მადლობა გადაუხადა გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდს მრავალწლიანი ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის:

ჩვენს უნივერსიტეტს სტუმრობენ პარტნიორები, რომლებთანაც გვაქვს გამორჩეულად წარმატებული თანამშრომლობა. ისინი უნივერსიტეტის გულშემატკივრები არიან, რაც ნიშნავს, რომ ჩვენი ურთიერთობები ყოველთვის უნივერსიტეტის გაძლიერებას ემსახურება. გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდი არ შემოიფარგლება მხოლოდ მოკლევადიანი მიზნებით, მისი საქმიანობა მიმართულია განათლების სფეროში გრძელვადიანი და ფუნდამენტური ცვლილებებისკენ. ფონდი ერთნაირი მზრუნველობით ეხმარება სკოლებს, უნივერსიტეტებს, მასწავლებლებსა და მთლიანად განათლების სისტემას. – აღნიშნა ქალბატონმა მაკამ.

ღონისძიება გაგრძელდა სტუდენტების პრეზენტაციებით. პირველი პრეზენტაცია წარადგინა გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდის სტიპენდიატმა **მარიამ ბალახაძემ,** მეორე – ფონდის ყოფილმა სტიპენდიატმა **იზა იანვარიშვილმა,** ხოლო მესამე პრეზენტაციით გამოვიდა პირველკურსელი **ანი მანასიანი,** რომელმაც დამსწრე საზოგადოებას უამბო საკუთარი მოტივაციის შესახებ – რატომ სურს, გახდეს ფონდის სტიპენდიატი და რა მნიშვნელობა აქვს ამ შესაძლებლობას პროფესიული განვითარებისთვის.

პრეზენტაციების შემდეგ, სიტყვით გამოვიდა ფონდის დირექტორი **ზურაბ კერვალიშვილი.** მან გაიხსენა ფონდის დაარსების ისტორია და პირველ ეტაპზე განხორციელებული პროექტები, ხაზგასმით აღნიშნა ფონდის მიზნები და მისია: **მადლობა იმ თბილი სიტყვებისთვის, რაც ჩვენი მისამართით ითქვა. მადლობა სტუდენტებს, რომლებიც ჩვენი სტიპენდიატები არიან და მათაც, ვისაც სურვილი აქვს, გახდეს ფონდის წევრი. მადლობა პედაგოგებს, რომლებიც ძალისხმევას არ იშურებენ სტუდენტთა განათლებისა და პროფესიული განვითარებისთვის. განათლება, ცოდნა და უნარების განვითარება – ეს არის ის გასაღები, რომელიც განსაზღვრავს ჩვენს ხვალინდელ დღეს და ქვეყნის მომავალს.**

ქალბატონმა **მაია ჩიტაშვილმა** ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ფონდის სტიპენდიატების უდიდესი ნაწილი წარმატებითაა დასაქმებული, რაც მოწმობს პროგრამის შედეგიანობას: **გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდის სტიპენდიატების სახით უამრავი მეგობარი შევიძინე. ჩვენ ჩავატარეთ კვლევა, რომელმაც აჩვენა, რომ ჩვენი სტიპენდიატების უმრავლესობა დასაქმებულია, რაც ჩვენთვის უდიდესი სტიმულია. ჩვენი მიზანია, ეს ახალგაზრდები გახდნენ პროფესიონალები, რომლებიც თავიანთ მოსწავლეებს წარმატებისკენ უბიძგებენ. გასულ წელს ერთმა სტუდენტმა ბატონ ზურაბს უთხრა, რომ თქვენი ფონდის სტიპენდიატი თუ ვერ გავხდები, მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს მფლობელი მაინც ვიქნებიო. ეს სიტყვები გვიჩვენებს, რომ ვაკეთებთ საქმეს, რომელიც შთაგონებას აძლევს ადამიანებს. მადლობა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, რომ ყოველთვის თავისი ოჯახის ნაწილად გვაგრძნობინებს თავს.**

ღონისძიების მიმდინარეობისას, უნივერსიტეტის რექტორმა წამოჭრა ინიციატივა, რომ ფონდის სტიპენდიის მინიჭების კრიტერიუმებში, თანაბარი ქულების შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭოს სტუდენტ დედებსა და მამებს. შემდეგ აუდიტორიის წინაშე წარდგნენ ფონდის ახალი სტიპენდიატები. მათ შორის, განსაკუთრებული ემოციური შეფასებით გამოვიდა სტუდენტი დედა **დიანა ღვალაძე:**

დიდი პასუხისმგებლობაა, ვიდგე თქვენ წინაშე, როგორც ფონდის სტიპენდიატი. ეს დღე ჩემი შრომის, მოტივაციისა და მიზანდასახულობის დასტურია. რთულია, იყო ერთდროულად კარგი დედა და წარმატებული სტუდენტი. მადლობა თითოეულ პროფესორ-მასწავლებელს, ვისაც ჩვენს განათლებასა და პიროვნულ ზრდაში წვლილი შეაქვს.

შეხვედრაზე ფონდის მიმართ მადლიერება გამოხატეს სხვა სტიპენდიატებმაც – **თამარ ტაბატაძემ, ნინო კაველიძემ, ჰასმიკ მეირაბიანმა, ნინო შაქარიანმა, ხატია ბალიაშვილმა, მარიამ ოქრომელიძემ, მარიამ მელიქიძემ, მარიამ ბალახაძემ** და **ნინო ტატალაშვილმა.**

ღონისძიების დასკვნით ნაწილში ბატონმა ზურაბმა განსაკუთრებული მადლიერებით აღნიშნა ფონდის დამფუძნებლის – ქალბატონ **ნინა გუდავაძის** წვლილი: **ყველა მადლობის სიტყვა, რაც ჩვენს მისამართით ისმის, ეკუთვნის ქალბატონ ნინა გუდავაძეს – ბადრი პატარკაციშვილის მეუღლეს. რომ არა მისი სურვილი და ხედვა – დახმარებოდა საქართველოს განათლების სისტემას, ეს ყველაფერი ვერ განხორციელდებოდა. ერთია, როდესაც ადამიანს აქვს რესურსი და მეორე – როდესაც აქვს შინაგანი სურვილი სიკეთის კეთებისა. თქვენ, როგორც მომავალმა პედაგოგებმა, სწორედ ეს უნდა ასწავლოთ თქვენს მომავალ მოსწავლეებს.**

ღონისძიება დასრულდა უნივერსიტეტის რექტორის პრეზენტაციით, რომელიც ეხებოდა უნივერსიტეტისა და გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდის თანამშრომლობის ისტორიას. ქალბატონმა მაკამ აღნიშნა, რომ 31 ოქტომბერი ბადრი პატარკაციშვილის დაბადების დღეა და სიმბოლურია, რომ ამ დღეს უნივერსიტეტში ტარდება ღონისძიება, რომელიც მის სახელს ატარებს და განათლებისადმი მიძღვნილ დიდ საქმეს უკავშირდება.

31 ოქტომბრის ღონისძიება დასტურია იმისა, რომ გუდავაძე-პატარკაციშვილის ფონდისა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლობა არა მხოლოდ აკადემიურ მიზნებს ემსახურება, არამედ ქმნის იმ ღირებულ საფუძველს, რომელიც განათლებასა და ადამიანურ ურთიერთობებს აერთიანებს.

ლიკა ზაზაშვილი

როდესაც ვისმენთ, უკეთ ვხედავთ ერთმანეთის მსგავსებებს და ვქმნით სივრცეს ნდობისთვის

აფხაზური ცენტრი **„მესხი ახალგაზრდები ერთობისთვის“** მიზნად ისახავს ქართულ-აფხაზური დიალოგის გაღრმავებასა და სამშვიდობო განათლების ხელშეწყობას. ცენტრი აქტიურად მუშაობს ახალგაზრდებთან, რათა გააძლიეროს ურთიერთგაგება, კულტურული გაცვლისა და შერიგების პროცესები. სხვადასხვა საგანმანათლებლო, კულტურული და თემატური პროექტის მეშვეობით, ცენტრი ქმნის სივრცეს დიალოგისთვის, ტოლერანტობისა და მშვიდობის კულტურის გავრცელებისთვის.

შემეცნებით-სამეცნიერო აქტივობებს შორის გამორჩეულ ადგილს იკავებს აფხაზური ცენტრის მიერ ორგანიზებული თემატური კვირეულები. ამჯერად გაგაცნობთ ინტელექტუალურ-სამოქალაქო კვირეულს, რომელიც აფხაზურ ცენტრში 20 ოქტომბერს დაიწყო და 27 ოქტომბერს დასრულდა, აფხაზური ენის დღის ტრადიციული აღნიშვნით.

კვირეულის განმავლობაში მონაწილეებმა იმსჯელეს თანამედროვე თემებზე, გაცვალეს ხედვები და მონაწილეობა მიიღეს ინტერაქტიულ აქტივობებში, სადაც ძირითადი აქცენტი გაკეთდა აზროვნების, დიალოგისა და თანამშრომლობის განვითარებაზე. კვირეულის პირველ დღეს ცენტრში გაიმართა დისკუსია-დებატები თემაზე: **„სოციალური ქსელების გავლენა ახალგაზრდებზე“.** მონაწილეებმა მოამზადეს არგუმენტები, წარმოადგინეს საკუთარი პოზიციები და იმსჯელეს განსხვავებული აზრის პატივისცემაზე.

აქტივობამ ხელი შეუწყო ახალგაზრდებში კრიტიკული აზროვნების, ლოგიკური მსჯელობისა და საჯარო გამოსვლის უნარის განვითარებას.

კვირეულის მეორე დღეს ჩატარდა **„დიალოგის სახელოსნო“,** რომლის მთავარი მიზანი იყო მოსმენის კულტურისა და კონსტრუქციული კომუნიკაციის განვითარება. მონაწილეებმა, როლის თამაშის ფორმატში, იმუშავეს თემებზე, თუ როგორ შეიძლება დიალოგის გზით გადაიჭრას უთანხმოება. ამ ინიციატივამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ დიალოგი და ურთიერთგაგება მშვიდობის მთავარი საფუძველია.

კვირეულის მესამე დღეს ცენტრში მოეწყო ინტერაქტიული შეხვედრა – **„იდეათა კაფე“,** რომელიც მიზნად ისახავდა ახალგაზრდებში მშვიდობისა და ერთობის შესახებ ახალი ხედვების ჩამოყალიბებას.

თითოეულ მაგიდას ერთი თემა ჰქონდა: მშვიდობის მნიშვნელობა; ახალგაზრდების ხმა; კულტურის ძალა ერთობაში; სოციალური მედიის გავლენა.

მონაწილეები მაგიდიდან მაგიდაზე გადადიოდნენ, აზრებს ცვლიდნენ და ბოლოს შექმნეს საერთო „იდეების რუკა“, რომელიც ასახავს ახალგაზრდების ხედვებს ერთიან მომავალზე.

შემოქმედებითი აქტივობა – **„ხილული ხმა“,** რომლის ფარგლებში მონაწილეებმა გადაიღეს ფოტოები უბრალო საგნებზე – ნიგნზე, ფანჯარაზე, ყვავილზე და მას თან დაურთეს საკუთარი ტექსტი ფრაზით: „მე რომ ახლა ენგურს იქით მცხოვრები მეგობრების ნახვა შემეძლოს...“

ფოტოებმა სიმბოლურად ასახა ახალგაზრდების დამოკიდებულება სამშვიდობო ურთიერთობებისა და ერთობის იდეისადმი. აქტივობამ წაახალისა შემოქმედებითი აზროვნება და სოციალური მედიის პასუხისმგებლიანი გამოყენება.

ღონისძიებათა ციკლი დასრულდა შემაჯამებელი შეხვედრით, სადაც მონაწილეებმა წარმოადგინეს საკუთარი ხედვები აფხაზური ენის დაცვისა და პოპულარიზაციის გზებზე. ახალგაზრდებმა იმსჯელეს მის როლზე მშვიდობისა და ერთობის შენებაში. წაიკითხეს და მოისმინეს აფხაზი ავტორების ლიტერატურული შემოქმედება. ამ დღის სიმბოლურმა აღნიშვნამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ ენა არა მხოლოდ კომუნიკაციის საშუალებაა, არამედ ხალხთა შორის ხიდია, რომელიც აერთიანებს და ამყარებს ურთიერთგაგებას.

ინტელექტუალურ-სამოქალაქო კვირეული აფხაზურ ცენტრში გახდა სივრცე, სადაც ახალგაზრდებმა შეძლეს საკუთარი აზრის გამოხატვა, მოსმენის სწავლა და საერთო მიზნის – მშვიდობისა და ერთობის მნიშვნელობის გააზრება. ღონისძიებებმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა, რომ დიალოგი, განათლება და ახალგაზრდების აქტიურობა არის ყველაზე ძლიერი იარაღი საზოგადოებაში ურთიერთგაგებისა და განვითარებისათვის.

კვირეული განხორციელდა აფხაზური ცენტრის ორგანიზებით, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხარდაჭერით.

რიმა სუდაძე

„2025 წლის საუკეთესო მოხალისის ეროვნული ჯილდოს კამპანია“

საქართველოს ახალგაზრდობის სააგენტოს მხარდაჭერით, ორგანიზაცია **„ჰელფინგ ჰენდმა“** დაიწყო კამპანია **„2025 წლის საუკეთესო მოხალისის ეროვნული ჯილდო“,** რომელიც მიზნად ისახავს: ახალგაზრდა მოხალისეების წარმოჩენას და კონკურსისთვის მომზადებას; ახალგაზრდების ჩართულობის წახალისებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში; საზოგადოებრივი ყურადღების მიპყრობას მოხალისეობრივი საქმიანობის მიმართ; მოხალისეობის პოპულარიზაციას, მათი ძალისხმევის დაფასებასა და აღიარებას. კამპანიის ფარგლებში, ქვეყნის მასშტაბით განხორციელდა საინფორმაციო და საგანმანათლებლო შეხვედრები სტუდენტებთან, სკოლის მოსწავლეებთან, ახალგაზრდულ ჯგუფებთან და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან.

ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა, 2 ოქტომბერს, 2022 წლის საუკეთესო მოხალისის ეროვნული ჯილდოს გამარჯვებულმა და ორგანიზაციის წარმომადგენელმა, ინგლისური ფილოლოგიის სპეციალობის მე-2 კურსის სტუდენტმა **თათია მსხვილიძემ** ჩაატარა. მან, პრეზენტაციის ფონზე, ახალგაზრდებს გააცნო მოხალისეობის მნიშვნელობა, მისი დადებითი გავლენა საზოგადოებაზე, მოხალისეობის პროგრამული მიმართულებები, წლის საუკეთესო მოხალისის ეროვნული ჯილდოს მოპოვების გზები და სხვა თემატური საკითხები. პრეზენტაციას არ ჩაუვლია ერთფეროვნად; იყო დისკუსია, აზრების გაზიარება და ინტერაქტიული ნაწილი.

შეხვედრის ჩატარებას მხარი დაუჭირა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, ბატონმა **გივი ბუცხრიკიძემ.**

„2025 წლის საუკეთესო მოხალისის ეროვნული ჯილდოს“ კამპანიაში ჩართვის მსურველმა პირებმა რეგისტრაცია პლატფორმა www.youthvolunteering.ge-ზე უნდა გაიარონ. გამარჯვებულები სხვადასხვა კატეგორიებში გამოვლინდებიან და 5 დეკემბერს, მოხალისეობის საერთაშორისო დღეს, საზეიმო ცერემონიაზე დაჯილდოვდებიან.

გაზეთ „მესხეთის უნივერსიტეტის“ მკითხველებს შევახსენებთ, რომ მოხალისეობა სიკეთის უანგაროდ და ნებაყოფლობით კეთებაა. მოხალისეობა აყალიბებს აქტიურ, პასუხისმგებლიან მოქალაქეებს, ის საზოგადოებაში ზრდის ემპათიის, ზრუნვისა და თანაგრძნობის შეგრძნებას. სიკეთე და სიყვარული სამყაროს გადამრჩენელი ძალაა. ამ საქმიანობას არა მხოლოდ საზოგადოებისთვის მოაქვს განვითარების შესაძლებლობა, არამედ ის პიროვნულად ზრდის თავად მოხალისეებს. თუ გაქვთ მსგავსი საქმიანობის განხორციელების დრო, სურვილი და ენერგია, არ გამოტოვოთ შანსი და თქვენთვის სასურველ სფეროში დაიწყეთ მოხალისეობა.

ჩვენი კორესპონდენტი

ადამიანისა და თეატრის უწყვეტი ძაფით გადაბმული ცხოვრება

ინტერვიუ არატრადიციული ფორმატით წარიმართა, გულწრფელი, თბილი მოკითხვიდან როგორ გადავინაცვლეთ ინტერვიუერისა და რესპონდენტის ამპლუაში, ვერ გავიგეთ; თუმცა, ასეთია იგი, მუდამ მზრუნველი, ყურადღებიანი, უშუალო, მომღიმარი და თავმდაბალი...

ასეთია მესხეთის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობი **ცირა ტაბატაძე.** იგი არასდროს მალავს ასაკს, თუმცა, საოცრად ახალგაზრდული, გამორჩეული, სახასიათო სილამაზის მქონე, მომხიბვლელი და ენერგიული ქალბატონი თავის გარეგნობას მეტწილად გენებს მიაწერს.

ბევრი ვიმსჯელეთ, ვისაუბრეთ ყველასა და ყველაფერზე, შევეხეთ პირველ გამოცდილებას, რუსთაველის თეატრში რეპეტიციის გარეშე თამაშსა და იმას, თუ როგორი რთულია, გქონდეს ოჯახი და, ამავე დროს, იყო შემდგარი მსახიობი, მით უფრო მაშინ, როდესაც ორივე ერთ სფეროში არ მოღვაწეობს... მსახიობმა თავისი ცხოვრება თეატრს უნდა მიუძღვნას და ამიტომ ჩემს შვილებსაც ვურჩიე სხვა პროფესია აერჩიათ. დღეს აღარ არის აუცილებელი „დიპლომიანი მსახიობი“ იყოო, დასძინა მრავლისმთქმელად. თავად, არაერთი შეთავაზების, უკეთესი პირობისა თუ ალტერნატივის არსებობის მიუხედავად, გადაწყვიტა, ბოლომდე ერთგული ყოფილიყო იმ საქმისა, რომელიც აირჩია.

ბავშვობიდან მიყვარდა ეს პროფესია, როდესაც ფეხი ავიდგი, ვიპარებოდი და სოფლის კლუბში მივდიოდი, იქ ბიძაჩემი მუშაობდა; მაშინაც ძალიან მომწონდა ეს სფერო.

პროფესიული განაწილებით სოხუმში უნდა წასულიყო, თუმცა, აქ ჩამოვიდა, სადაც, როგორც თავად აღნიშნა, ერთი მუჭა, ოჯახად შეკრული ხალხი დახვდა, ვისაც ბორჯომიდან გამოჰყვა და ოჯახის განუყოფელ ნაწილად იქცა. იგი იყო იმ ერთადერთ თეატრში, სადაც არ იყო შუღლი, შური და პაექრობა როლების განაწილებისა და ობიექტური ფონის გამო.

ჩამოვედი თუ არა, მთავარი როლი მომცეს; შემეშინდა, რადგან ეჩვევი ადამიანი... დრო რომ გადის, ყველაფერს ეჩვევი.

1982 წელს წითელ დიპლომზე დაამთავრა სასწავლებელი, თუმცა, იმდროინდელ რეალობას ვერც მან აუქცია გვერდი და... მოიტაცეს. სევდით იხსენებს ამბავს, როდესაც ქალბატონი ნანა დემეტრაშვილი მასთან მივიდა გუჯი გოგიძისა და ლია სულუაშვილის რეკომენდაციით როლის შესათავაზებლად, თუმცა, ახალგაზრდა მსახიობს უკვე ოჯახი ჰყავდა... იმერული ფესვების მქონე და ბორჯომში დაბადებულ-გაზრდილი ქალბატონი წიგნებისა და შემოქმედების სამყაროში გაიზარდა, მერვე კლასში იყო, როდესაც გადაწყვიტა, მსახიობი გამხდარიყო.

რეგიონსა და აქ დაგროვებულ გამოცდილებაზეც ვისაუბრეთ, იმაზეც, რა ღირებულებებისა და პრინციპების მქონე ხალხი ცხოვრობს მესხეთში, რეგიონში, სადაც ყოველთვის ყველაზე განსხვავებული ადამიანები სახლობენ.

აქ გულწრფელი ხალხია, თუ შეგიყვარეს, გულწრფელად შეგიყვარებენ, თუ არადა სულ რომ ხელისგულზე ერბო-კვერცხი შეუწვა, არ შეგიყვარებენ. ასეთია სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობა, საოცარი ხალხია. მათ გამო დავრჩი აქ.

მისი ხილვის პატივი მაყურებელს არა მარტო თეატრის სცენაზე, არამედ ტელეეკრანებზეც ჰქონდა. ქალბატონი ცირა იხსენებს, ორფოლოს პოლიგონზე გადაღებულ „დონკიხოტის“ 5 სერიას, რომელშიც ისეთ სახელოვან მსახიობებთან მოუწია პარტნიორობა, როგორებიც იყვნენ კახი კავსაძე და ლიკა ქავჟარაძე.

სიყვარულით იხსენებს დროს, როდესაც თავის გოგონებთან ერთად დადიოდა თეატრში და მათში, მათდაუნებურად, იძერწებოდა მსახიობის სული. ბევრი სახალისო ისტორიაც გადახდათ თავს, რომელსაც ახლა დიდი სითბოთი და სიყვარულით იხსენებს.

მოხიბლული ვუყურებდი მოხდენილ, ლამაზ, წელში გამართულ ქალბატონს, რომელიც მთელი გრძნობით ჰყვებოდა იმ დღეების ამბავს, როდესაც, უდიდესი გაჭირვების მიუხედავად, სცენაზე იდგა, კულისებში კი მცირეწლოვანი შვილი ელოდებოდა, როდის მორჩებოდა დედა რეპეტიციას. იგი მსახიობია და სხვანაირად არ შეეძლო. გულწრფელი სურვილით ვინატრე, უფრო ადრე დავბადებულიყავი, რათა თვალი შემესწრო მომენტისთვის, როდესაც ის სცენაზე იდგა, მთავარ როლს ასრულებდა და მთელ თავის ჯადოსნობასა და ოსტატობას უნაწილებდა დარბაზში მსხდომთ.

ვინ იცის, რამდენჯერ დავფიქრებულვარ და გამჩენია კითხვა, როგორ შეიძლება, ადამიანს საკუთარი საქმე ასე ძალიან უყვარდეს-მეთქი და, ალბათ, ეს ინტერვიუ იყო პასუხი ჩემს კითხვაზე, თუმცა, მისი გადმოცემა მიჭირს. ქალბატონ ცირასთან ერთად ვიჯექი ძველ, გაჭირვებით მავალ ავტობუსში და სოფლის დანგრეული გზების მტვრით მემოსებოდა შავი, გრძელი კაბა. მეც მასთან ერთად ვიდექი თეატრის სცენაზე, ვკითხულობდი სცენარს და ვგრძნობდი გულწრფელ აღფრთოვანებას ბავშვისას, რომელსაც „სამი გოჭის“ მგლის ეშინოდა, მაგრამ მაინც უნდოდა, ეკოცნა მისთვის, რადგან უყვარდა იგი...

დროში მოგზაურობა დავიწყე, მასთან ერთად დავდიოდი ქუჩებში, მეც მასთან ერთად მესალმებოდნენ, მიღიმოდნენ, მჩუქნიდნენ ყვავილებს და გამოთქვამდნენ იმ აღფრთოვანებას, რომელიც შეუძლებელია, დამალო მისი გაცნობისას. მელანქოლიით აღნიშნა, როდესაც ვერიკო ანჯაფარიძის საგრიმიოროში ვიყავი, კედლებს ვეფერებოდიო... მაშინ მისი პირველი თამაში იყო, ახლა კი თავად არის ის დიდებული მსახიობი, რომელსაც ყველა მონიწებით ესალმება და კითხულობს; თოჯინების თეატრში ახალგაზრდა, მომავალ თაობას ზრდის და მათ ასწავლის სულის იმ სისპეტაკეს, რომელიც ესოდენ ახლობელი უნდა იყოს თითოეული ადამიანისთვის.

მე არ მაქვს უფლება მაყურებელს ვუღალატო.

უდიდესი სევდა ედგა თვალებში, როდესაც გარდასულ დღეთა ამბებს იხსენებდა. იყო მოცეკვავე, პროფესიონალი მორბენალი, სულით მზიანი.

მამა უკრავდა, დედა ლექსებს წერდა, ოჯახში უზომო სიყვარული და სითბო იყო, რაც ვისწავლე, ყველაფერი იქ იყო და სხვა გარემოს ველარ მოვერგე, სხვა სამყარო ვერ მივიღე, ხოლო თეატრში მუდამ სხვადასხვა როლი მქონდა. ამ დროს ყველაფერი გავიწყდება, შენი პრობლემები გავიწყდება... შუქი რომ არ იქნება, ეგ აღარ არსებობს...

ვერ გავბედე საუბარი შემეწყვეტინებინა... ვერ შევკადრე, არადა ღრმად მწამს, ყველას გვაქვს ნივთები, რომელიც მოძველდა, გაიბზარა, დრო გაუვიდა, თუმცა, გვიჭირს მათთან განშორება, იმდენად გვეძვირფასება, რომ გვინდა, მუდამ ჩვენთან იყოს; როგორც მან აღნიშნა, ისინი ჩვენს გავლილ გზას გვახსენებენ.

ვუსმენდი და ვფიქრობდი, როგორი იქნებოდა ბავშვთა აღზრდის თავისებურება, ქალბატონ ცირას უფრო მეტი მსმენელი რომ ჰყავდეს, მეტად უგდებდნენ ყურს... მაშინ იქნებ სამყაროც უფრო უკეთესი ადგილი გამხდარიყო?! საოცარი წუხილით აღნიშნა ვანდალიზმის რამდენიმე ფაქტი, რომელმაც სულის რომელიღაც კედელი გამიკაწრა, თუმცა, მალე ისევ გავისეირნეთ ქუჩებში, სადაც მშვენიერი წყვილები ხელჩაკიდებულები დასეირნობდნენ და ერთმანეთის ცქერით ტკბებოდნენ. არ არსებობს ცუდი ბავში, არც ის, ვიღაცის შვილია და ამის გამო უნდა ვცეთ პატივიო, მცირე დუმილის შემდეგ დასძინა – ბავშვის აღზრდა მუცლიდანვე იწყებაო. მისგან საოცარი დამოკიდებულება ვიგრძენი ბავშვების, ახალგაზრდა თაობისა და, ზოგადად, ადამიანების მიმართ.

სამყაროს განსხვავებული, სათუთი სულის მქონე ადამიანის თვალით უყურებს მსახიობი, ფრთხილად არჩევს სიტყვებს და ცდილობს, მუდამ მოწოდების სიმაღლეზე იყოს. მაყურებლისთვის იგი იქცა პიროვნებად, რომელიც მუდამ მოწესრიგებული, მოწოდების სიმაღლეზე და ღიმილიანია. აღნიშნა – რამდენჯერ უთქვამთ, მას რა პრობლემა აქვს, სულ ღიმილიანი სახით დადისო... თუმცა, ამასაც კომპლიმენტად აღიქვამს, რამეთუ მხოლოდ მან იცის, რამდენად ბევრ სევდასა და დარდს დაატარებს გულით.

დიდი მოწიწებით გაიხსენა ილია მეორის სტუმრობა თეატრში.

პატრიარქი სპექტაკლს დაესწრო, დაგვლოცა და გვითხრა – ეს არის ტაძარი, რომელიც ამ რეგიონს აერთიანებს. ეს ტაძარი არ უნდა ჩაქრეს.

ვფიქრობდი, როგორ შეიძლება ამდენი სირთულის გამოვლის შემდეგ ადამიანი ასეთი მშვიდი, დიდი სულიერებისა და შემწყნარებელი ბუნების მქონე იყოს? პასუხი არ მაქვს.

ახალგაზრდებს ადგილი უნდა დავუთმოთ, საჭიროა, მათ სივრცე მივცეთ და ერთმანეთს ვენდოთ. მე როდესაც ახალციხეში ჩამოვედი, ბინასაც კი არ ვკეტავდი, ისე ვტოვებდი...

თითქოს ქალბატონი ცირა ჰყვებოდა სამყაროზე, რომელიც არის ჩვენთან ახლოს, სადღაც, როგორღაც, მაგრამ არა იმდენად ახლოს, რომ მისი ნაწილი ვიყოთ. გამონაკლისივით არსებობენ მისი მსგავსი ადამიანები ჩვენთან, ჩვენს ირგვლივ, ვინც ნათელს დაატარებს კელაპტარივით ადამიანებს შორის და ყველას უნაწილებს, ვინც კი გზად შეხვდება.

მას არაფერი აქვს საერთო „ზავის“ უსინათლო ბებიაქალთან, რომლის რეალურობა სულით ხორცამდე დავიჯერეთ თითოეულმა მაყურებელმა და გულის სიღრმეში ვინატრეთ კიდეც, მხოლოდ სცენაზე დარჩენილიყო... იქნებ სწორედ ეს არის მსახიობის ყველაზე დიდი ოსტატობა, მაყურებელმა დაკარგოს ზღვარი რეალურსა და ირეალურს შორის.

ჩემს წინ იჯდა საოცრად მომხიბვლელი, ლამაზი და დახვეწილი, ძლიერი ქალი, რომელმაც ქვეყნის მთელი საშინელება საკუთარ ბედსა და ცხოვრებაზე გამოსცადა, თუმცა, იმედიანად უყურებს ახალგაზრდა თაობასა და ახალ დღეს, რომელმაც უკეთესი პირობები უნდა შექმნას ყველასთვის.

რთულია ქალბატონ ცირაზე ისე საუბარი, როგორც მხოლოდ მსახიობზე, ადამიანი, რომელიც სცენისთვის ცხოვრობს, რადგან იგი, უპირველესყოვლისა, მაყურებლებისთვის, ბავშვებისა და იმ ხალხის იმედია, რომელიც სპექტაკლებში ჰპოვებენ ნუგეშს.

ნატალია ვარდიძე

ახალგაზრდები უნივერსიტეტისთვის

როდესაც ამბობენ – ახალგაზრდობა წარმოადგენს საზოგადოების ყველაზე აქტიურ და პროგრესულ ნაწილს, ვფიქრობთ, პირველ რიგში, გულისხმობენ იმას, რომ სწორედ ახალგაზრდა თაობა წარმოადგენს ახალი იდეების, ცვლილებებისა და განვითარების მთავარ მამოძრავებელ ძალას; უნივერსიტეტი კი ის ადგილია, სადაც ეს ენერგია და შემოქმედებითი პოტენციალი ყალიბდება და იქცევა როგორც პიროვნული, ისე საზოგადოებრივი პროგრესის სათავედ.

2025 წელს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის 35 წლის იუბილე აღინიშნება. ამ წლების განმავლობაში უნივერსიტეტმა უამრავ ახალგაზრდას მისცა ცოდნა, გამოცდილება და გაუკვალა გზა წარმატებული მომავლისკენ. სტუდენტებისთვის ის მხოლოდ სასწავლებელი კი არა, ცხოვრების მნიშვნელოვანი ეტაპი და განვითარების სივრცეა, სადაც იძერწება პიროვნება, რომელიც იაზრებს საკუთარ პასუხისმგებლობას და ექმნება მომავლის ხედვა. განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის ყველა პროფესორსა და თანამშრომელს, რომლებიც ძალ-ღონეს არ იშურებენ, რომ ჩვენ, სტუდენტებმა, ღირსეული განათლება მივიღოთ. ვუსურვებ უნივერსიტეტს განუწყვეტელ წინსვლას, ახალ წარმატებებს, ერთგულ სტუდენტებსა და იმ ენერგიას, რომელმაც 35 წელი ღირსეულად გამოატარა.

ჩვენ ხშირად ვმსჯელობთ იმაზე, თუ რა უნდა მისცეს უნივერსიტეტმა თავის კურსდამთავრებულს, როგორი უნდა იყოს საგანმანათლებლო და საუნივერსიტეტო სივრცე. ნაკლებად ვფიქრობთ, რა შეუძლია სტუდენტობას, როგორ შეიძლება სტუდენტობა გახდეს საუნივერსიტეტო ცხოვრების ისტორიის თანაავტორი, შემოქმედი. უნივერსიტეტი მხოლოდ ცოდნის მიღების ადგილი არ არის. ეს არის სივრცე, სადაც ყალიბდება მოქალაქეობრივი თვითშეგნება, აღვიქვამთ საკუთარ პასუხისმგებლობას და მოტივაცია საზოგადოებრივი საქმიანობისადმი კიდევ უფრო იზრდება.

უნივერსიტეტი საშუალებას გვაძლევს, მონაწილეობა მივიღოთ სხვადასხვა პროექტში, კონფერენციაში, სოციალურ და კულტურულ აქტივობებში, რაც ხელს გვიწყობს პიროვნულ ზრდაში, საინტერესო გამოცდილების მიღებასა და თვითგანვითარებაში, გარდა ამისა, აღნიშნული ღონისძიებები ზრდის უნივერსიტეტის ცნობადობას და ხელს უწყობს მისი ავტორიტეტის ზრდას. სტუდენტების აქტიურობა აძლიერებს საუნივერსიტეტო ცხოვრებას, ქმნის თანამშრომლობისა და თანასწორობის ატმოსფეროს, რაც უმნიშვნელოვანესია ხარისხიანი განათლებისა და ინოვაციური აზროვნების განვითარებისთვის.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს ერთი განსაკუთრებული თავისებურება ახასიათებს – ყოველი ახალგაზრდის იდეა უნივერსიტეტისთვის ფასეულია. ხშირად სწორედ სტუდენტების ინიციატივები ხდება მრავალი სასარგებლო ცვლილების საფუძველი – იქნება ეს გარემოსდაცვითი აქტივობა, ახალი ახალგაზრდული კლუბის დაარსება თუ კულტურული ღონისძიების ორგანიზება.

ასეთი აქტივობები არა მხოლოდ ამდიდრებს სტუდენტურ ცხოვრებას, არამედ წარმოაჩენს ლიდერებს, რომლებიც მომავალში საკუთარი ცოდნითა და გამოცდილებით ემსახურებიან ქვეყნის განვითარებასაც.

ახალგაზრდები უნივერსიტეტისთვის ნიშნავს პასუხისმგებლობას არა მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე, არამედ ზრუნვას საერთო კეთილდღეობისთვისაც. ჩვენ ვისაუბრეთ უნივერსიტეტის როლზე პიროვნული განვითარების საქმეში, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია იმის გააზრებაც, რომ საუნივერსიტეტო სივრცე, პირველ რიგში, ადამიანურ ურთიერთობებზე დაფუძნებული გარემოა. სწორედ აქ იზრდება სტუდენტების პასუხისმგებლობა. ყველა სტუდენტი გამორჩეულია, აქვს განსხვავებული გემოვნება, მოსაზრებები. სტუდენტები არიან სხვადასხვა რელიგიური, ეთნიკური კუთვნილების. მიუხედავად განსხვავებისა, სწორედ სტუდენტებმა უნდა შექმნან გარემო, სადაც ყველა თანასწორია, სადაც ურთიერთობის საფუძველი მეგობრობა და პატივისცემაა. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასეთი ურთიერთობების ტრადიცია დაგვხვდა, მაგრამ დამკვიდრებულ წესს მოფრთხილება და დაცვა სჭირდება. მხოლოდ სტუდენტებს შეუძლიათ უნივერსიტეტის ირგვლივ გაერთიანება, მისი ღირსების დაცვა.

საბოლოოდ, ვფიქრობთ, ის, თუ როგორი იქნება ჩვენი ქვეყანა მომავალში, დიდწილად დამოკიდებულია იმაზე, როგორი იქნება თანამედროვე სტუდენტი დღეს – რამდენად განათლებული, აქტიური და შემოქმედებითი იქნება იგი.

ამიტომ, როდესაც ვამბობთ – „ახალგაზრდები უნივერსიტეტისთვის“, ამაში ვგულისხმობთ ერთიანობას, პასუხისმგებლობას და სიყვარულს ცოდნისადმი. უნივერსიტეტი გვაძლევს შესაძლებლობებს, მაგრამ ჩვენ უნდა ვისწავლოთ ამ შესაძლებლობების სწორად გამოყენება. ახალგაზრდებმა უნდა გავაცნობიეროთ, რომ უნივერსიტეტი არ არის მხოლოდ ცოდნის მიღების ადგილი, ჩვენზეც არის დამოკიდებული მისი მომავალი და განვითარება. ყოველ ახალ სტუდენტურ თაობას შესწევს ძალა, შექმნას ახალი, გაუმჯობესებული რეალობა, შეცვალოს არსებული უკეთესით.

ჩვენ, ახალგაზრდებს, შეგვიძლია უნივერსიტეტი გავხადოთ უკეთესი ადგილი სწავლასა და თვითრეალიზაციისთვის. როდესაც სტუდენტი საკუთარ უნივერსიტეტს ერთგულად ემსახურება, ის, ამავე დროს, ემსახურება ქვეყანასაც, რადგან განათლებული და აქტიური ახალგაზრდობა ქვეყნის განვითარების უდიდესი რესურსია.

ვულოცავთ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს 35 წლის იუბილეს და ვუსურვებთ, არ მოჰკლებოდეს ღირსეული სტუდენტობა, გულანთებული ახალგაზრდობა, რომლებიც გააგრძელებენ უნივერსიტეტის ისტორიას!

ანა ბერიძე

იურიდიული ფაკულტეტის
მე-2 კურსის სტუდენტი

ახალგაზრდა სპორტსმენების წარმატების კვალდაკვალ

23 სექტემბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კორპუსში, გაიმართა შეხვედრა, სადაც **გაგა გელაშვილმა** მოწვეულ სტუმრებს წარუდგინა საკუთარი მკლავჭიდის გუნდი "Gagson's Armwrestling Team Akhaltsikhe" და აუდიტორიას გააცნო მსოფლიო ჩემპიონი **ლუკა ხითარიშვილი** და ვიცე-ჩემპიონი **მარიამ პაპიძე.**

გაგამ გუნდი 2020 წელს დაარსა, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხარდაჭერით, როდესაც იგი ჯერ კიდევ სტუდენტი იყო. მას შემდეგ წლებია, ავარჯიშებს სტუდენტებსა და ახალგაზრდებს და თავადაც არაერთი შეჯიბრის გამარჯვებულია. მის სახელსა და გვარს გაზეთ „მესხეთის უნივერსიტეტის" სხვადასხვა ნომერშიც ამოიკითხავთ.

ჩემპიონატი, სადაც კლუბის ახალგაზრდები ასპარეზობდნენ, ბულგარეთის ქალაქ ვარნაში ჩატარდა. ლუკა ხითარიშვილმა გუნდში გასულ წელს დაიწყო ვარჯიში, ხოლო მარიამ პაპიძე იქ რამდენიმე თვის განმავლობაში ემზადებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ეს კლუბის პირველი გამარჯვებაა მსოფლიო ჩემპიონატზე, თუმცა, ბიჭებს სხვადასხვა დროს აქვთ მოპოვებული საქართველოს ვიცე-ჩემპიონისა და ჩემპიონის სტატუსი, მათ შორის, საქართველოს ჩემპიონია ლუკა ხითარიშვილიც.

შეხვედრაზე მწრვთნელმა ვრცლად ისაუბრა კლუბის გავლილ გზაზე, გამოწვევებსა და მიღწევებზე. სიმბოლური, სამადლობელი სერთიფიკატი გადასცა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს გაწეული თანადგომისა და მხარდაჭერისთვის.

გუნდს წელს საიუბილეო, დაარსების მეხუთე წლისთავი აქვს და გაგა სტუმრებს დაპირდა, რომ წარმატებისკენ მიმავალ გზაზე კვლავ დაუღალავად განაგრძობენ სიარულს და დასახულ მიზნებს ბოლომდე მიიყვანენ.

სწავლის პირველ კვირაში გაგა გელაშვილმა გაცნობითი შეხვედრა გამართა პირველკურსელებთანაც, კლუბის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა მათ და ახალი წევრების მიღებაზეც გააკეთა განაცხადი.

ახალგაზრდები განაგრძობენ ჩემპიონობისთვის მზადებასა და უნივერსიტეტის კედლებში ვარჯიშს, სქესისა და სტატუსის შეუზღუდავად, აქტიურ რეჟიმში ემზადებიან როგორც ვაჟები, ასევე, გოგონები და ბოლომდე ცდილობენ, თავიანთი სათქმელი ყველას უთხრან, ხოლო ქვეყნისა და უნივერსიტეტის სახელი მსოფლიო ასპარეზზე გაიტანონ.

ნატალია ვარდიძე

სტუდენტები ბიზნესის რეალურ გარემოში

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის ეკონომიკის სპეციალობის მეოთხე კურსის სტუდენტებმა – **ქრისტინა დალიბანდიანმა, ნინო ბერიძემ** და **საბა მათოშვილმა** წარმატებით მიიღეს მონაწილეობა ბიზნეს-სიმულაციაში **„ელექტრონიკის მაღაზია",** რომლის ფარგლებშიც მათ შექმნეს და მართავდნენ საკუთარ ვირტუალურ კომპანიას სახელწოდებით DigitalHub.

სიმულაცია ჩატარდა TBSC Consulting-ის ეგიდით და წარმოადგენდა ეროვნულ პროექტს, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის 72 გუნდი. მისი მიზანი იყო სტუდენტებისთვის ბიზნესის მართვის პრაქტიკული გამოცდილების მიცემა და ისეთი გარემოს შექმნა, სადაც მათ შეეძლებოდათ თეორიული ცოდნის რეალურ სიტუაციებში გამოცდა.

ბიზნეს-სიმულაციის მთავარი იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ მონაწილეებს შეექმნათ საკუთარი ვირტუალური კომპანია და შეესწავლათ მისი მართვის ყველა ეტაპი – ფინანსებიდან, პროდუქციის შერჩევიდან და პერსონალის მენეჯმენტიდან დაწყებული, მარკეტინგული სტრატეგიების დაგეგმვამდე და გაყიდვების შედეგების ანალიზით დასრულებული.

თითოეული რაუნდი კომპანიის ერთი თვის საქმიანობას ასახავდა, რაც სტუდენტებს რეალურ ბიზნესგარემოში გადაწყვეტილებების მიღებისა და შედეგების გაანალიზების შესაძლებლობას აძლევდა.

პროექტი მჭიდროდ უკავშირდებოდა ბიზნესის ადმინისტრირების, მარკეტინგისა და ფინანსების მიმართულებებს, თუმცა მასში მონაწილეობა ნებისმიერი ფაკულტეტის სტუდენტს შეეძლო.

DigitalHub-ის გუნდის წევრებმა დეტალურად აღწერეს, როგორ დაეხმარათ ეს გამოცდილება ბიზნესის რეალური პროცესების უკეთ შესწავლაში.

პროექტის ფარგლებში თავად უნდა შეგვერჩია პროდუქციის ასორტიმენტი, გაგვეანალიზებინა ბაზრის მოთხოვნა და გამოგვეკვეთა, რომელი პროდუქტი იქნებოდა მომხმარებლისთვის ყველაზე მოთხოვნადი. შემდეგ ეტაპზე გუნდის წევრებმა ვმართეთ მარაგები, დავადგინეთ შეკვეთების მოცულობა ისე, რომ თავიდან აგვეცილებინა ზედმეტი ხარჯი და, ამავე დროს, ბაზარზე მოთხოვნა სრულად დაგვეკმაყოფილებინა. – გვითხრა ქრისტინა დალიბანდიანმა.

განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა პერსონალის მართვის ნაწილი – მონაწილეებს უნდა გადაეწყვიტათ, რამდენი თანამშრომელი იყო საჭირო, როგორ განაწილდებოდა მათი ფუნქციები და როგორი ანაზღაურება უნდა მიეღოთ. **ეს პროცესი ითხოვდა ბიუჯეტის სწორად დაგეგმვას, მოტივაციის შენარჩუნებას და გუნდური მუშაობის ეფექტიან ორგანიზებას.** – ამბობს ქრისტინა.

მნიშვნელოვანი იყო მარკეტინგული კამპანიების დაგეგმვაც: სტუდენტები თავად ირჩევდნენ სარეკლამო არხებს, ადგენდნენ ბიუჯეტს და ცდილობდნენ, თავიანთი პროდუქტი მაქსიმალურად მიეტანათ მიზნობრივ აუდიტორიამდე. გუნდი აკვირდებოდა მომხმარებელთა ქცევას, გაყიდვების მაჩვენებლებსა და ფინანსურ შედეგებს. რაუნდის დასრულების შემდეგ კი შედეგებს აანალიზებდნენ, ასკვნიდნენ, რა იყო სწორი გადაწყვეტილება და სად საჭიროებდა სტრატეგია გაუმჯობესებას.

როგორც გუნდის წევრები აღნიშნავენ, ეს პროცესი საშუალებას აძლევდათ, რეალურად განეცადათ ბიზნესის მართვის სირთულეებიც და სიხარულიც – მათი გადაწყვეტილებების შედეგი იყო ხილული, რაც აძლიერებდა პასუხისმგებლობის გრძნობასა და ანალიტიკურ აზროვნებას.

ეს მხოლოდ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გადატანა არ ყოფილა – ჩვენ თავს ნამდვილ მენეჯერებად ვგრძნობდით. თითოეულ გადაწყვეტილებას შედეგი მოჰყვებოდა და სწორედ ეს გვასწავლიდა, რამდენად მნიშვნელოვანია სტრატეგიული ხედვა და გააზრებული ნაბიჯები ბიზნესში. – აღნიშნავენ Digital-Hub-ის წევრები.

პროექტში მონაწილეობამ სტუდენტებს განუვითარა არაერთი აუცილებელი უნარი: სტრატეგიული დაგეგმვა, გრძელვადიანი ხედვა, ფინანსური და საბაზრო ანალიზი, მარკეტინგული აზროვნება, პრობლემების გადაჭრისა და გადაწყვეტილების მიღების მოქნილობა. მათ ისწავლეს გუნდური მუშაობა, კრიტიკული აზროვნება და ცვალებად გარემოში სწრაფი რეაგირება – სწორედ ის კომპეტენციები, რომლებიც თანამედროვე ბიზნესში წარმატების წინაპირობაა.

მსგავსი კონკურსები სტუდენტებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ისინი აძლევენ საშუალებას, საკუთარი ცოდნა რეალურ მოდელზე გამოსცადონ, განავითარონ პროფესიული უნარები და დაამყარონ ახალი კონტაქტები, რაც მომავალში მათ კარიერულ განვითარებაში დიდ როლს შეასრულებს.

მათი აზრით, მსგავსი ინიციატივები არა მხოლოდ სტუდენტთა პროფესიულ ზრდას უწყობს ხელს, არამედ აძლიერებს უნივერსიტეტის როლს თანამედროვე ბიზნეს-განათლების განვითარებაში, სადაც ახალგაზრდები მომავალი მენეჯერების, ანალიტიკოსებისა და ლიდერების პოზიციებს იკავებენ.

ლიკა ზაზაშვილი

ვესაუბრებით სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის პროგრამის პირველკურსელს ხატია მსხვილიძეს. ის გვიზიარებს საკუთარ გამოცდილებას, მოტივაციას, მოლოდინებსა და პირველ შთაბეჭდილებებს.

ჩემი დაც სტუდენტია

– ხატია, რატომ გადაწყვიტე სამართალმცოდნეობის მიმართულებით სწავლა?

– ჩემი გადაწყვეტილება რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა. ყოველთვის მაინტერესებდა, რა წესები არეგულირებდა საზოგადოების ცხოვრებას. ვფიქრობ, სამართალი არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სფერო, სადაც შეგიძლია უშუალოდ იყო ჩართული სამართლიანობის აღდგენის პროცესში და გქონდეს რეალური გავლენა ადამიანების ცხოვრებაზე. გარდა ამისა, იურისტის პროფესიით დასაქმების მრავალფეროვანი არჩევანია. მინდა ვიყო ის ადამიანი, რომელიც კარგად ერკვევა კანონებში და შეძლებს სხვების დაცვას.

– როგორი იყო ეროვნული გამოცდებისთვის მზადების პროცესი? რა სირთულეებს წააწყდი?

– აბიტურიენტობა სტრესული, მაგრამ, ამავე დროს, ძალიან დასამახსოვრებელი იყო. ყველაზე დიდი სირთულე იყო მასალის დიდი მოცულობა, განსაკუთრებით კი სამოქალაქო განათლებაში. ძირითადად, საჭირო იყო არა მხოლოდ დამახსოვრება, არამედ გააზრებაც, რაც დიდ დროს და ენერგიას მოითხოვდა. ასევე, ბოლო თვეებში ფსიქოლოგიურად დაძაბულობა იყო დიდი, რადგან გრძნობ, რომ მთელი შენი მომავალი ამ ერთ წელზეა დამოკიდებული. თუმცა, მიზანი და მოტივაცია მეხმარებოდა გამოწვევების დაძლევაში.

– როგორია პირველკურსელის ცხოვრება იურიდიულ ფაკულტეტზე?

– პირველკურსელობა იურიდიულზე ნამდვილად გამოწვევაა. ის ძალიან განსხვავდება სკოლისგან. ლექციები საინტერესოა, მაგრამ სასწავლი მასალა ძალიან ბევრია. თავიდან რთულია ახალ რიტმთან შეგუება – ლათინური ტერმინები, კანონთა კოდექსების კითხვა... ზოგჯერ მიჭირს დროის სწორად გადანაწილება, რომ ლექციებსა და სემინარებს შორის დარჩენილი დრო ეფექტურად გამოვიყენო. თუმცა, ყველაზე კარგი ის არის, რომ უკვე ვგრძნობ, საინტერესო, პროფესიონალ ადამიანებს ვხვდები და ჩემს მომავალ სპეციალობას ვეუფლები.

– რას ნიშნავს შენთვის იყო იურისტი?

– იყო იურისტი – ნიშნავს იყო პასუხისმგებლიანი, სამართლიანი და მუდმივად განვითარებაზე ორიენტირებული პიროვნება. ეს არ არის მხოლოდ პროფესია, ეს არის ცხოვრების სტილი, ხასიათის განუყოფელი ნაწილი. იურისტი აუცილებლად უნდა იყოს საზოგადოების მაკონტროლებელი ძალა, რომელიც უზრუნველყოფს კანონის უზენაესობას. ეს არის პატივიც და დიდი ვალდებულებაც, რომ შენი ცოდნა გამოიყენო სწორად, დაიცვა სიმართლე და დაეხმარო იმ ადამიანებს, ვისაც დაცვა სჭირდება.

– როგორ ინარჩუნებ მოტივაციას, როცა სწავლის პროცესი დამღლელია?

– როცა სწავლა ძალიან მძიმე ხდება, ვცდილობ გავიხსენო, რატომ დავიწყე ეს ყველაფერი. წარმოვიდგენ იმ დღეს, როცა დიპლომს ავიღებ და რეალურად შევძლებ ჩემი ცოდნის გამოყენებას. ასევე, მოტივაციას მაძლევს ყოველდღიური პატარ-პატარა მიღწევები. ძალიან მნიშვნელოვანია დროის სწორად გადანაწილება, პრიორიტეტების განსაზღვრა, სწავლასთან ერთად საკუთარ თავს დასვენების შესაძლებლობაც უნდა მივცეთ, რასაც მე ყოველთვის ვითვალისწინებ.

– რას ურჩევ აბიტურიანტებს, რომლებიც სამართალმცოდეობით არიან დაინტერესებულნი?

– ჩემი, როგორც პირველკურსელის, მთავარი რჩევა აბიტურიენტებისთვის, პირველ რიგში, იმ საგნების სრულყოფილი შესწავლაა, რომლებიც საფუძველს უმყარებენ დარგს, ესენია – ისტორია და სამოქალაქო განათლება.

მომავალო იურისტებო, ნუ შეგაშინებთ სირთულეები. პირველი სემესტრი შეიძლება ცოტა დამაბნეველი იყოს, რადგან უამრავი ახალი ტერმინია და ინფორმაციის დასწავლა მოგიწევთ. ზუსტად ამ ეტაპზე ვარ ახლა და თანდათან ყველაფერი თავისით ლაგდება. გირჩევთ, განავითაროთ კრიტიკული აზროვნება და წერითი უნარები. სამართალმცოდნეობა მხოლოდ კანონების დამახსოვრება არაა. ისწავლეთ არგუმენტირებული მსჯელობა და აზრის ზუსტად, იურიდიული ენით გადმოცემა.

– როგორ ხედავ შენს თავს 5 წლის შემდეგ?

– 5 წლის შემდეგ მექნება ბაკალავრის ხარისხი სამართალში და, იდეალურ შემთხვევაში, ვიქნები მაგისტრატურის სტუდენტი. დიდი ალბათობით, ჩემი ინტერესი კონკრეტულ სპეციალიზაციაში იქნება გადაზრდილი. ამ დროისთვის უკვე მექნება გავლილი რამდენიმე სტაჟირება ჩემი პროფესიით. ეს პრაქტიკული გამოცდილება კი, რა თქმა უნდა, ჩემს თეორიულ ცოდნას გაამყარებს.

– მადლობა, ხატია, ინტერვიუსთვის. წარმატებებს გისურვებ მომავალი პროფესიის დაუფლების გზაზე. ვიმედოვნებ, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს, შენი სახით, კიდევ ერთი წარმატებული იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებული ეყოლება.

ინტერვიუერი
თათია მსხვილიძე
ინგლისური ფილოლოგიის სპეციალობის მე-2 კურსის სტუდენტი



პირველკურსელთა კვირეული სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში

პირველი გვერდიდან

პირველკურსელებს გააცნეს უნივერსიტეტის შინაგანაწესი და ეთიკის კოდექსი, ჩატარდა საბიბლიოთეკო რესურსებისა და უნივერსიტეტის ვებგვერდის პრეზენტაცია, ასევე, სტუდენტებმა მოისმინეს ინფორმაცია სასწავლო პლატფორმა Moodle-ის გამოყენებისა და აკადემიური რეგისტრაციის წესების შესახებ.

პროგრამა მოიცავდა გაცვლითი პროგრამების პრეზენტაციას. სტუდენტები გაეცნენ შრომის უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის რეგულაციებს, შეხვდნენ სტუდენტური თვითმმართველობის წევრებს, აფხაზური ცენტრის **„მესხი ახალგაზრდები ერთობისთვის“** წარმომადგენლებსა და მოლაშქრეთა კლუბის **„ბილიკის მეგობრების“** წევრებს.

კვირეულის პირველ დღეს სტუდენტებს მიესალმა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **მაკა ბერიძე.** მან სიტყვით მიმართა როგორც პირველკურსელებს, ისე პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტთა მშობლებს: **მაქვს პატივი, მოგესალმოთ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის სახელით. ყველაფერი, რა თქმა უნდა, რექტორობით არ დაიწყო – ჩემი ისტორიაც დაიწყო პირველკურსელობით. მეც, თქვენსავით, 34 წლის წინ შემოვაბიჯე ამ კურთხეულ კედლებში და შევუდექი განათლების ძალიან საპატიო საქმეს. წლევანდელი მიღება ემთხვევა უნივერსიტეტის დაარსების 35-ე წლის იუბილეს. ახალგაზრდებო, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორია დაიწყო 35 წლის წინ და ეს ისტორია, თავის თანაგუნდელებთან ერთად დაიწყო ადამიანმა, რომელიც დღეს ჩვენთან ერთად იმყოფება, 35 წლის განმავლობაში ფეხი არ მოუცვლია ამ უნივერსიტეტის სამსახურიდან, 15 000-ზე მეტი კურსდამთავრებული გაუშვა ქვეყნის სამსახურში და დღესაც აგრძელებს ჩვენთან ერთად საქმიანობას. მინდა ეს იუბილე განსაკუთრებით მივულოცო ამ ისტორიის ავტორს – პროფესორ მერაბ ბერიძეს.** – აღნიშნა რექტორმა.

შემდეგ სიტყვით გამოვიდა რექტორის მოადგილე, პროფესორი **მერაბ ბერიძე,** რომელმაც უნივერსიტეტის განვითარების ისტორია გაიხსენა და პირველკურსელებს წარმატება უსურვა: **მართლაც ბედნიერი დღეა, რადგან საქმე, რომელიც დაიწყო, დღეს გრძელდება და ვითარდება. თავიდან სამი სპეციალობა გვქონდა – ფილოლოგია, ისტორია, ეკონომიკა, დღეს კი 31 პროგრამაა. ამ უნივერსიტეტში წლების წინ თქვენი მშობლები სწავლობდნენ, ახლა თქვენ მოხვედით. ეს ნიშნავს, რომ უნივერსიტეტი შედგა. მინდა გირჩიოთ, იყავით დამოუკიდებლები, ენდეთ თქვენს უნივერსიტეტს. ნახავთ, როგორ გიპატრონებთ ეს უნივერსიტეტი და ვინც გულით ისწავლის, მისთვის ყველა გზა იქნება გახსნილი.**

შეხვედრა კვლავ რექტორმა გააგრძელა და მიმართა მშობლებს: **ვიღებთ პასუხისმგებლობას, თქვენს შვილებს გავუწიოთ განათლების კუთხით დედობა და მამობა, აქ დაიწყება თქვენი შვილების წარმატებული ისტორია, დიდი მეგობრობა, დაიწერება მეგობრობისა და სიყვარულის არაჩვეულებრივი ამბები.**

რექტორმა სტუდენტებს გააცნო უნივერსიტეტის ფაკულტეტები და სტრუქტურა, ისაუბრა ცალკეულ სპეციალობაზე და აღნიშნა, რომ დეტალურ ინფორმაციას საორიენტაციო კვირეულის ფარგლებში მიიღებდნენ. მან განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა უნივერსიტეტში სწავლის ხარისხზე და საერთაშორისო აღიარებაზე: **თქვენ ჩააბარეთ უნივერსიტეტში, რომელიც ძალიან წარმატებულია. თქვენს დიპლომს მსოფლიოს 68 ქვეყანა აღიარებს. თქვენ გექნებათ სახელმწიფო უნივერსიტეტის დიპლომი, რაც ნიშნავს, რომ სახელმწიფო ენდობა თქვენს განათლებას. საქართველოს მასშტაბით ჩვენი უნივერსიტეტი რეიტინგით მეშვიდეა, ხოლო რეგიონულ უნივერსიტეტებს შორის – მესამე.** – აღნიშნა მაკა ბერიძემ.

რექტორმა, ასევე, ისაუბრა უნივერსიტეტში მოქმედ აფხაზურ ცენტრზე, სადაც აფხაზური ენის სწავლება განსაკუთრებული მნიშვნელობის საგნად მიიჩნევა.

შეხვედრის დასასრულს ქალბატონმა მაკამ პირველკურსელებს აცნობა, რომ მათთან კომუნიკაცია გაგრძელდება **„რექტორის საათის“** ფორმატით – ყოველი თვის ბოლოს იგი შეხვდება სტუდენტებს, მოისმენს მათ მოსაზრებებს, იდეებსა და წინადადებებს.

მაშ, კეთილი იყოს თქვენი შემობიჯება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში – უნივერსიტეტში, სადაც იწყება ცოდნის, განვითარებისა და წარმატების გზა. – ამ სიტყვებით დაასრულა პირველკურსელებთან შეხვედრა უნივერსიტეტის რექტორმა.

* * *

30 სექტემბერს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კორპუსში (ახალქალაქი) საზეიმოდ აღინიშნა ახალი 2025-2026 სასწავლო წლის დაწყება. პირველკურსელებს მიესალმა უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **მაკა ბერიძე,** რომელმაც სტუდენტებს, მიულოცა ახალი სასწავლო წლისა და, შესაბამისად, ცხოვრების ახალი ეტაპის დაწყება. სტუდენტებს, ასევე, მისასალმებელი სიტყვით მიმართა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფესორმა **გიორგი ბუცხრიკიძემ.**

ლიკა ზაზაშვილი

ლუკა

გრძელი გზა უნივერსიტეტის სავარჯიშო დარბაზიდან ჩემპიონობამდე

ლუკა ხითარიშვილი – მეათე კლასის მოსწავლე ახალციხის მუნიციპალიტეტიდან, რომლის სახელიც დღეს ბევრი ადამიანისთვის არა მარტო ნაცნობი, არამედ საამაყოა.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფართოდ გაღებული კარი და უსასყიდლოდ დათმობილი დარბაზი რომ არა, ვინ იცის, დღეს წარმატებული ახალგაზრდა სპორტსმენები, ვისი-თაც რეგიონი ასე ამაყობს, სად ან როგორ იქნებოდნენ. იმაზეც რთულია საუბარი, როგორი იქნებოდა დღეს მათი ცხოვრება.

დროის ქრონოლოგია უკან რომ გადავახვიოთ, შეგვიძლია გავიაროთ გზა, რომელმაც ლუკა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულამდე მიიყვანა. რამდენიმე წლის წინ ქალაქ ვალეში გამართულ მკლავჭიდის შეჯიბრზე ახალგაზრდა ყმაწვილი შეხვდა ადამიანს, რომელიც სულ მალე მისი მწრთვნელი, მეგობარი და უდიდესი გულშემატკივარი გახდა. როგორც ლუკა ყვება, სანამ გაგა გელაშვილთან დარბაზში ვარჯიშს დაიწყებდა, მანამდე სახლში ვარჯიშობდა: **თავიდან სახლის პირობებში დავიწყე ვარჯიში, მაშინ არც სავარჯიშო მოწყობილობა მქონდა და არც შესაბამისი ცოდნა, რაც შემეძლო, იმას ვაკეთებდი. მაშინ არც ასეთი დიდი მიზანი მქონდა; ვვარჯიშობდი, რადგან პროცესი მსიამოვნებდა.** – გვეუბნება ლუკა. იგი, რაღაცით, წაგავს თავის მწრთვნელს, რომელმაც სწორედ ასე, მარტომ დაიწყო პირველი ნაბიჯების გადადგმა. აღსანიშნავია, რომ მისთვისაც უნივერსიტეტი გახდა იმ დიდი გზის დასაწყისი, რომელმაც მსოფლიო აღიარება და ტიტული მოუტანა.

2025 წლის შემოდგომის სეზონზე ბულგარეთის ქალაქ ვარნაში გამართულ მკლავჭიდის მსოფლიო ჩემპიონატზე ლუკა მამასთან ერთად ჩავიდა, საქართველოს ჩემპიონის ტიტული უკვე ჰქონდა მოპოვებული, ახლა მსოფლიო ჩემპიონობისთვის უნდა ებრძოლა. მთელი პროცესის განმავლობაში ტელეფონით ეკონტაქტებოდა მწრთვნელს, რომელმაც ბოლომდე ირწმუნა – ათთვიანი თავდაუზოგავი შრომა შედეგს გამოიღებდა და, მართლაც, ლუკა სამშობლოში გამარჯვებული დაბრუნდა – 15 წლამდელთა ასაკობრივ კატეგორიაში მან პირველი ადგილი დაიკავა.

ლუკა იხსენებს, რომ აქამდე მისასვლელი გზა ძალიან რთული იყო, უპირველესად, 12 კილოგრამის დაკლების შემდეგ შექმნილი დისკომფორტის ატანა გაუჭირდა – **ამ დროს უენერგიოდ ხარ, მაგრამ იცი, ვარჯიშზე უნდა წახვიდე; ასევე, რთულია, როდესაც ორგანიზმს უნდა, რომ დანებდე, თუმცა, ტვინი უფლებას არ აძლევს...** – გვიხსნის ლუკა. ხაზს უსვამს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის უდიდეს როლს, რომლის მხარდაჭერას პირველივე დღიდან გრძნობს და რომელიც მისთვის განსაკუთრებული ადგილია, რადგან აქვს სწავლისა და შრომის მოტივაცია.

ამბავი ამით არ დამთავრებულა. 23 სექტემბერს პავლე ზაზაძის სახელობის საკონფერენციო დარბაზში მოწვეულმა სტუმრებმა ლუკა ხითარიშვილი გაიცნეს. წარდგენილი პრეზენტაციის ფარგლებში დამსწრე აუდიტორიამ როგორც მასზე, ასევე, მის გუნდზე უფრო მეტი რამ შეიტყო და, ერთგვარად, თვალი მიადევნა მათ განვლილ გზას. ახალგაზრდა იაზრებს, როგორი დიდი გამოწვევების წინაშე დგას, თუმცა, მათ მედგრად უდგება და სურს სწავლა და ვარჯიში პარალელურ რეჟიმში გააგრძელოს: **მაქვს მიზანი, გავაგრძელო ვარჯიში და შევინარჩუნო ეს სტატუსი, მაგრამ ვაპირებ გავაგრძელო სწავლა, რათა შევძლო და ვიყო საკუთარი თავის საუკეთესო ვერსია.**

ლუკასა და მისი მწრთვნელისთვის დაუვიწყარია როგორც გამარჯვების დღე, ასევე, მას შემდეგ მიღებულ-განცდილი ემოციები. ახალგაზრდა ჩემპიონი აგრძელებს თავდაუზოგავ შრომას, ბრძოლასა და სხვებისთვის მოტივაციის მიცემას, რადგან თავად ყველაზე უკეთ იცის, როგორი მნიშვნელოვანია, როდესაც ადამიანს ცოცხალი პიროვნება ჰყავს შთაგონების წყაროდ.

ნატალია ვარდიძე

რედაქტორი
მარინე ზედელაშვილი
რედკოლეგია:
ლიკა ზაზაშვილი, რიმა სუდაძე, იური ბალახაძე, ნატალია ვარდიძე, თენგიზ მელიქიძე, ანა ბერიძე, პავლე ტატალაშვილი

მისამართი
ქ. ახალციხე, რუსთაველის 113
ტელ.: (+995) 22 890 400 191
ტელ.: 599 25 25 68
ვებ-გვერდი: www.sjuni.edu.ge